ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 23 – 24 ივნისი, 2018

№147 (7692)

ფასი: 50 თეთრი

## „ოზურგეთს პატრონი აღარ ჰყავს“

გვ.3



22 ივნისიდან

ალექსანდრე იასალაშვილი

შავი ვარდი

ქართული დეტექტივი ტომი 2




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

# „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი ბიძინა ივანიშვილი იქნება“



## მამუკა გამყრელიძე: „ოპოზიციას საერთო კანდიდატი უნდა გვყავდეს“

გვ.3



## სოსო ცინცაძე: „თეა წულუკიანი ივანიშვილმა ოპოზიციონერით უნდა შეცვალოს“

გვ.4





## „ქართული ოცნება“ საქართველოში მეორე რუსის გვირაბს აშენებს“

გვ.2

ლაშა ჩხარტიშვილი: „ახალი გზით რუსეთს საშუალებას აძლევენ, რამდენიმე საათში ჩაკეტოს საქართველოს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ საზღვარი“

სამართალი

## ვახტანგ გომელაური ბრაზილიის იუსტიციის მინისტრს შეხვდა

გვ.7



## გურამ ვახტანგაშვილი: „მამისონის უღელტეხილი რუსებმა დატოვონ“

გვ.4



გვ.5



## თამარ ჩხეიძე: „რუსეთი საქართველოს ხელისუფლებით კმაყოფილია“

ეკონომიკა

გვ.6



## მთავრობის სიაპ-ებსა და ა(ა)იპ-ებში იმდენი ადამიანი არის გაფორმებული შტატგარეშედ, რა ზომისაც საქართველოს შეიარაღებული ძალებია



## როდიდან გახდება მანქანის დამუხტვა ფასიანი

## Wizz Air-ის ბორტზე ხელბარგის ატანა ფასიანი ხდება



ISSN 1987-9385

6 მომავლის ფერმერი მამუკა ბახტაძესთან მეფრინველეობის დღგ-სგან გათავისუფლების საკითხს განაახლებს

4 რომან კაკულია: „ბიზნესის განვითარების 10-ბალიანი სისტემით ჩვენ მთავრობას 7-ს დავუწერდი“

5 მიხეილ რამიშვილი: „კონსტანტინე იაკობაშვილი პასუხისმგებლობას მაინც ვერ ასცდება“

6 უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნება შეეძლებათ

# „ქართული ოცნება“ საქართველოში მეორე როკის გვირაბს აშენებს“

შორენა მარსაგიშვილი

**რას უპირებს ხელისუფლება ქუჩის მუსიკოსებს, რისთვის და ვისთვის აშენებენ ამდენ ჰესს, რატომ არის ქვეყნის ღალატი ჯუთა-როშკას დამაკავშირებელი გზის მშენებლობა? – ამის შესახებ „ახალ თაობას" უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი ესაუბრება.**



## ლაშა ჩხარტიშვილი: „ახალი გზით რუსეთს საშუალებას აძლევენ, რამდენიმე საათში ჩაკეტოს საქართველოს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ საზღვარი“

***– ღამის ეკონომიკის მამამ, სერგი გვარჯალაძემ გვაუწყა, რომ ხელისუფლებას ქუჩის მუსიკოსებთან დაკავშირებით რაღაც აქვს ჩაფიქრებული. მათ ინიციატივას სერიოზული პროტესტი მოჰყვა, რის შემდეგაც კახა კალაძემ განმარტა, რომ მერია ქუჩის მუსიკოსებს ხელს შეუწყობს.***

– ეს არის გაუგონარი რამე. რანაირად უნდა მოხდეს ქუჩის მუსიკოსებთან დაკავშირებით რაიმე რეგულაციების დაწესება, არ მესმის. ქუჩის მუსიკოსები მთელს მსოფლიოში არიან. მათ არსად და არავინ არ უწესებს რეგულაციებს. ისინი ქუჩაში სიმღერით და დაკვრით შოულობენ ფულს.

ხელისუფლებას ეტყობა უნდა, რომ მათაც ჩაუჯდეს წილში და ამიტომ ალაპარაკდნენ რაღაც რეგულაციებზე.

არ არის გამორიცხული, ეს რეგულაციები ხელისუფლების ავტორიტარულ მისწრაფებებსაც უკავშირდებოდეს. მოგეხსენებათ, რომ ხელოვანი ხალხი უფრო აქტიურად გამოხატავს პროტესტს უსამართლობის და უკანონობის წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, არ გამიკვირდება, რეგულაციები ამას უკავშირდებოდეს.

ხელისუფლება არ აღიარებს, რომ ქვეყანაში გაჭირვებაა. ქუჩის მუსიკოსები ამ მხრივ მათ იდილიას არღვევენ და შესაძლოა, ამიტომაც სურთ მათი შეზღუდვა. თავის დროზე ასეთივე გადაწყვეტილება მიიღეს იმ ადამიანების მიმართ, ვინც ქუჩაში მოწყალებას ითხოვს.

***– ეს „ოცნების“ ხელისუფლებამ გააკეთა?***

– ამ ხელისუფლებამ გააკეთა.

***– ამას რატომ არ მოჰყვა სკანდალი?***

– ეს გადაწყვეტილება ოფიციალურად და ხმამაღლა არ ყოფილა განცხადებული. უბრალოდ, სამართალდამცავებს უთხრეს, რომ ცენტრალურ ქუჩებზე არ დაეშვათ ადამიანები, რომლებიც მოწყალებას ითხოვდნენ.

ასეთივე გადაწყვეტილება მიიღო წინა ხელისუფლებამაც. მაშინ ადამიანებს მეტროში მოწყალების თხოვნა აუკრძალეს. ეს აკრძალვა როგორც დამთავრდა, ყველამ ვნახეთ. ამ ადამიანებმა აქცია გამართეს და მოითხოვეს, მოწყალების თხოვნის უფლება მოგვეცითო. ხელისუფლება დათმობაზე წავიდა.

ის, რის გაკეთებასაც „ოცნება“ ქუჩის მუსიკოსებთან დაკავშირებით აპირებს, არის სამარცხვინო. გაუმაძღარი ჩინოსნები მზად არიან, ყველაზე გაჭირვებულ ადამიანებს ჩაუყონ ჯიბეში ხელი.

იგივე ხდება ტაქსისტებთან დაკავშირებითაც. ათასობით ადამიანი ტაქსაობით ირჩენს თავს. ისინი არიან თვითდასაქმებულები. „ოცნების“ ხელისუფლებამ განაცხადა, რომ უნდა მოხდეს ამ ბაზრის რეგულაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოხდება ამ ბაზრის მონოპოლიზება და ათასობით ადამიანი ულუკმაპუროდ დარჩება.

ხელისუფლების წარმომადგენლები გვეუბნებიან, რომ ბაზრის დარეგულირების შემთხვევაში მოსახლეობას თანამედროვე და კომფორტული ტაქსები მოემსახურება. ძალიან კარგია ახალი მანქანები, მაგრამ იმ ადამიანებს რას უშვრებიან, ვისაც ლუკმა-პურის გარეშე ტოვებენ.

***– ამის მიუხედავად, ტაქსების თემაზე ხმას არავინ იღებს. ამას რითი ხსნით?***

– ეტყობა, ადამიანები ამ პრობლემის სიმწვავეს ვერ აღიქვამენ, მაგრამ ძალიან მალე ეს საკითხი აქტუალური იქნება. არა მგონია, ადამიანები დანებდნენ და შეეგუონ იმას, რომ ხელისუფლება ჯიბიდან უკანასკნელ თეთრებს აცლის.

აქვე აუცილებლად უნდა ვთქვა მიკროავტობუსებზეც. ხელისუფლება და მასთან დაახლოებული კლანები ამ სფეროს ხელში ჩაგდებას ცდილობენ. გვეუბნებიან, რომ სატრანსპორტო ქსელი დახვეწას მოითხოვს. ამაში ვეთანხმები, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ამ დახვეწის უკან „ოცნების“ წევრების პირადი ინტერესები დგას. მათ ახლა მიკროავტობუსების ბაზრიდან უნდათ დამატებითი შემოსავლის მიღება. ამ მიმართულებითაც ყურადღებაა საჭირო.

მოვუწოდებ საზოგადოებას, რომ სიფრთხილით მოეკიდოს ხელისუფლების ფსევდო მზრუნველობას.

***– ბოლო დროს ქვეყანაში მოვლენები დრამატულად განვითარდა. საზოგადოება ქუჩაში იყო გამოსული. თქვენი აზრით, ხელისუფლებამ ვერანაირი დასკვნები ვერ გამოიტანა აქედან? ამ აქციების შემდეგ ისევ ღიად შეეცდებიან ტაქსების ბაზრის ხელში ჩაგდებას?***

– მე ვფიქრობ, რომ ხალხის პროტესტმა შედეგი გამოიღო. ხელისუფლება მიხვდა, რომ ყველაფერი ასე იოლად აღარ გაუვა. მათი თვითნებობის ალსაკვეთად ეს პროტესტი მაინც არ გამოდგა საკმარისი. საჭიროა უფრო აქტიურობა. საბოლოო შედეგს მაშინ მივიღებთ, როცა ივანიშვილს გავუშვებთ.

საბოლოო შედეგამდე ბევრი გვიკლია, მაგრამ ხელისუფლების შეზღუდვა აშკარად სახეზეა.

***– ხელისუფლების შეზღუდვა რაში გამოიხატება? ამ აქციების შემდეგ განაცხადეს, რომ აპირებენ, ქუჩის მუსიკოსები რეგულაციებს დაუქვემდებარონ.***

– ამას ვერ გააკეთებენ. რაც შეეხება შედეგს, მთავრობის გადადგომა ამ პროტესტის შედეგია.

***– ბევრი ამ ცვლილებას არაფრად მიიჩნევს.***

– მთავრობის გადადგომა ერთგვარი პროგრესია. გვინდა თუ არა, ასეთი მოვლენები ზღუდავს ხელისუფლების სიხარბეს, სითავხედეს და უტიფრობას.

***– თქვენ გჯერათ, რომ ამათ სიხარბეს რაიმე შეზღუდავს?***

– როგორ არ შეზღუდავს. საყოველთაო პროტესტის შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობენ, უფრო შეზღუდულები იყვნენ. ხელისუფლება შეზღუდულია, მაგრამ ეს თვითკმაყოფილების მიზეზს მაინც არ გვაძლევს. ჩვენი მთავარი მიზანი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებია.

სხვა გზით ხელისუფლების ცვლილება ნაკლებად რეალური და მიუღებელია. შესაბამისად, საზოგადოების მობილიზების დონე კიდევ უფრო გასაზრდელია. საქართველოს მხოლოდ იმ შემთხვევაში უწერია განვითარება, თუ ხელისუფლება ერთი ადამიანის ხელში არ იქნება მოქცეული. საქართველოს ბოლო სამი ხელისუფლება ერთი ადამიანის ხელში იყო მოქცეული. ჯერ იყო შევარდნაძე, მერე სააკაშვილი და ახლა არის ივანიშვილი.

როცა ხელისუფლება ერთი ადამიანის ნებას და ხშირ შემთხვევაში ერთი ადამიანის ხუშტურებს ასრულებს, იქ ქვეყნის განვითარებაზე ლაპარაკიც კი ვერ იქნება. ამის დაბალანსება მხოლოდ მრავალპარტიულ მმართველებს შეუძლია.

***– ვადამდელი არჩევნების შემთხვევაში გვეყოლება მრავალპარტიული მმართველობა?***

– თუ არ გვეყოლება, ისევ ერთი ადამიანის ხელში მოექცევა ხელისუფლება და ისევ იგივე მოხდება, რაც აქამდე ხდებოდა.

***– თქვენ ყველა პრობლემურ საკითხზე აქტიურობთ, მაგრამ მაინც გიგანტური ჰესების წინააღმდეგ ბრძოლასთან ასოცირდებით. ბოლო დროს თქვენ და სვანეთის მოსახლეობა აქტიურად აპროტესტებდით იქ მიმდინარე მშენებლობებს. შვილმოკლული მშობლების აქციებმა ეს თემა გადაფარა. რა ხდება ჰესებთან დაკავშირებით?***

– წინააღმდეგობა გრძელდება. სვანეთის მოსახლეობა ისევ მედგრად დგას – ისინი სვანეთში გიგანტური ჰესების მშენებლობას არ თანხმდებიან. ამის გაკეთება დაუშვებელია.

საოცარია, რომ ბუნებას მცირე ჰესების მშენებლობის დროსაც ანადგურებენ. ისე აშენებენ ამ ჰესებს, რომ მდინარეებს კლავენ. მდინარის მოკვლის ნათელი მაგალითია ბროლისწყალი. ეს ულამაზესი მდინარე მცირე ჰესმა შეიწირა. მდინარე ფაქტიურად აღარ არსებობს. ამ დროს ზაქარია ქუცნაშვილის მამა – ომარი, ურცხვად ამტკიცებს, რომ ბროლისწყალი ისევ მოედინება.

***– ძველ დროს ხომ არ იხსენებდა ქუცნაშვილის მამა? ახლა იქ მდინარე აღარ არსებობს?***

– ძველ დროზე არ საუბრობდა, დღევანდელობას აღწერდა და ურცხვად მიმტკიცებდა, რომ ბროლისწყალი არ გამქრალა. არადა არაერთხელ მაქვს ნანახი ეს დამშრალი მდინარე. მის დამშრალ კალაპოტზეც მივლია. იქ ერთადერთი ღელე შეიძლება წამოვიდეს, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ინტენსიური წვიმა, ღვარცოფი და თქეში იქნება. მდინარე, როგორც ასეთი, აღარ არსებობს.

ასეთი ბედი არ უნდა ეწიოს სხვა მდინარეებს, რისი რისკიც ძალიან მაღალია. „ოცნების“ ხელისუფლება დამატებით 150 კაშხალის აშენებას აპირებს. აქ გაცილებით მეტი ბრძოლაა საჭირო, საზოგადოებამ ხმა აუცილებლად უნდა ამოიღოს. ჩვენ ხელისუფლებას მრავალმილიარდიანი კორუფციული სქემა უნდა ჩავუშალოთ.

ხმას თუ არ ამოვიღებთ, ელემენტარულად მდინარეების გარეშე დავრჩებით, ქვეყნის ტერიტორიის ნაწილს კი დატბორავენ.

ეს ჩვენს ქვეყანას ტურისტულ პოტენციალს დააკარგვინებს. უცხოელებისთვის ჩვენი უნიკალური ბუნებაა მიმზიდველი, ჰესებით ვერავის გავაკვირვებთ.

ვინც არ იცის, მათთვის ვამბობ, რომ ევროპაში ჰესების დემონტაჟის პროცესი დაიწყო. ჰესები ეკოსისტემისთვის ძალიან მტკივნეული, დამაზიანებელი და სარისკო ობიექტებია. მოგეხსენებათ, რომ ევროპაში ჰესები ბევრად უფრო ფრთხილად აქვთ აშენებული, მაგრამ ამასაც კი შლიან.

ჩვენ კი რას ვაკეთებთ, 60 წლის წინანდელი ტექნოლოგიებით ვაშენებთ ჰესებს. „ქართული ოცნება“ ამ გზით ცდილობს არა დენის, არამედ კორუფციული შემოსავლის მიღებას.

გვინადგურებენ ეკოსისტემას, გვაკარგვინებენ ტურისტულ პოტენციალს და უნდათ, რომ ამაში ფული იქეთ გადაგვახდევინონ. მინდა ყველამ იცოდეს, რომ საქართველოში აშენებული ჰესებით გამომუშავებული ელექტროენერგიის პრობლემა არსებობს.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ არც ერთ ჩვენს მეზობელს ჩვენგან ელექტროენერგიის მიწოდება არ სჭირდება. რუსეთს და თურქეთს თავისი დენი აქვთ, ისევე, როგორც აზერბაიჯანს და სომხეთს. შესაბამისად, ეს ელექტროენერგია უნდა გაიყიდოს საქართველოში.

აფორმებენ კორუფციულ შეთანხმებებს და უნდათ, რომ დენი 2-ჯერ უფრო ძვირად შევიძინოთ. თითქოს ის არ კმარა, რომ ქვეყანა მახინჯ ვენეციას და ატლანტიდას დაამსგავსეს.

***– ბუნების განადგურებაზე ვსაუბრობთ და აუცილებლად უნდა ვახსენოთ ჯუთა-როშკას დამაკავშირებელი გზის მშენებლობაც. დღემდე ვერავინ ახსნა, რაში სჭირდება ქვეყანას ამ გზის მშენებლობა.***

– ეს არის ძალიან სახიფათო პროექტი. როდესაც ამაზე საუბარი დაიწყო, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ვთქვი, რომ ივანიშვილს საქართველოში მეორე როკის გვირაბის გაჭრა აქვს გადაწყვეტილი.

ახლაც გავიმეორებ, რომ ეს გზა არის მეორე როკის გვირაბი. ამ გზას სხვა არანაირი დანიშნულება არა აქვს, თუ არა ოკუპანტი ქვეყნისთვის მოქმედებების გაიოლება.

არის კიდევ მეორე ვარიანტი, რომ ეს არის კორუფციული პროექტი. ამ გზის მშენებლობისთვის ათეულობით მილიონია გამოყოფილი. დარწმუნებული ვარ, რომ ფულს ამ პროექტიდანაც მოიპარავენ, მაგრამ მთავარი მიზანი მაინც ოკუპანტისთვის ხელ-ფეხის გახსნაა.

ეს გზა რუსეთს აძლევს იმის საშუალებას, რომ რამდენიმე საათში საქართველოს ჩრდილოეთ ზოლის სრული ბლოკირება მოახდინოს.

თქვენი მკითხველისთვის რომ გასაგები იყოს, უფრო დეტალურად ავხსნი. ხევი, ხევსურეთი და თუშეთი დღეს მხოლოდ ცალ-ცალკეა რუსეთისთვის ხელმისაწვდომი. ამ კუთხეებს ერთმანეთთან საავტომობილო გზა არ აკავშირებს. ამ გზის აშენების შემდეგ, ეს კუთხეები ერთმანეთს დაუკავშირდება. ამ გზის წყალობით რუსეთი რამდენიმე საათში ჩაკეტავს მთელ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ საზღვარს.

ამ გზის აშენება არის სამშობლოს ღალატი. ივანიშვილი და მისი მთავრობა არიან ქვეყნის მოღალატეები – ისინი საქართველოში მეორე როკის გვირაბს აშენებენ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი ბიძინა ივანიშვილი იქნება“



## მამუკა გამყრელიძე: „ოპოზიციას საერთო კანდიდატი უნდა გვყავდეს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი დიპლომატი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.**

***– ბატონო მამუკა, კეთდება შეფასებები, რომ „ქართულ ოცნებას“ სერიოზული კრიზისი უდგას, ყველანაირად ცდილობს, ხვრელები ამოავსოს, თავი გადაირჩინოს, მაგრამ არ გამოსდის. მთავრობის ოპტიმიზაცია, მინისტრთა კაბინეტის შემცირება. როგორ ფიქრობთ, უშველით ეს ყველაფერი?***

– ცხადია, რომ ტყუილად არ შეიცვლებოდა მთავრობა. რა თქმა უნდა, კრიზისია! კრიზისი არა მარტო სამთავრობო, არამედ პოლიტიკური კრიზისია, უპირველეს ყოვლისა. შეუთანხმებელი იყო ეს მოქმედებები, იყო ძალიან ბევრი აცდენა გამონათქვამებში.

***– რას გულისხმობთ?***

– პარლამენტარები და მინისტრები ერთმანეთში არ არიან შეთანხმებული. დიდი გაუგებრობა აქვთ, ხან ერთს ამბობენ, ხან მეორეს.

***– ეს რაზე მიგვანიშნეს?***

– დარწმუნებული ვარ, არც მათ სიამოვნებთ სულელის როლში ყოფნა. ძალიან შეუხედავ როლში არიან. მოდის ადამიანი, ერთს ამბობს და მერე სულ სხვა რამ ხდება. ეს აჩვენებს მის არაკომპეტენტურობასა და ინფორმაციის არცოდნას. ეს ყველაფერი დამოკიდებულია ბიძინა ივანიშვილზე. ის რას გადაწყვეტს, არავინ იცის. ეს არის სწორედ კრიზისის საფუძველი.

ეს რეჟიმი ასეთი მახინჯი სახით, რასაც ივანიშვილის მმართველობა ჰქვია, დასასრულისკენ მიდის, დიდხანს ველარ გასტანს, შესაძლოა, ძალიან მალე დასრულდეს, შესაძლოა, 2020 წლამდე მიაღწიოს. ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენ ფულს დახარჯავს ბიძინა ივანიშვილი ან რამდენად უღირს ამ ფულის დახარჯვა.

***– ექსპერტები კი ფიქრობენ, რომ კიდევ ბევრ სიურპრიზს შემოგვთავაზებს ივანიშვილი. რას უნდა ველოდოთ?***

– რაღა უნდა შემოგვთავაზოს?! შეიძლება, ბევრი სიურპრიზი შემოგვთავაზოს, მაგრამ, როგორი იქნება ეს სიურპრიზი, ეგ არის საქმე. პრემიერ– მინისტრი როგორიც შემოგვთავაზა, ყველამ ვნახეთ.

***– რას უწუნებთ ახალ პრემიერს?***

– ნახეთ მისი სამუშაო ადგილები და გამოცდილება. არსად თავი არ გამოუჩენია, როგორც წარმატებულ ადამიანს. არ ვიცი, რამდენად კარგად გაუძღვება ქვეყანას. ეს იყო ბიძინას არჩევანი. მას სხვა გზა არ ჰქონდა, არ უნდოდა, პრემიერობა ჩაებარებინა დისკრედიტებული გახარიასთვის. თუმცა გახარია მკვეთრი ნაბიჯებით გამოირჩევა და უპრიანი იქნებოდა, ის ყოფილიყო პრემიერი.

***– თავიდან მასზე საუბრობდნენ. რატომ გადაიფიქრა ივანიშვილმა?***

– იმიტომ, რომ მოხდა მისი დისკრედიტაცია. შესაძლებელია, არც უნდოდა ბიძინა ივანიშვილს, ასე ყოფილიყო, მაგრამ იძულებული გახდა. ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი კი არ არის, რასაც გადააყოლეს კვირიკაშვილი. ეკონომიკა, ავად თუ კარგად, ძალიან მცირე, მაგრამ მაინც გვაქვს. შეიძლება, მცირეა ეს მატება, მაგრამ მაინც არის. რაღაცა სტაბილურობის განცდის მომენტი მაინც არსებობს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში. რეალობაში ჩვენ გვატყუებენ, რადგან ქვეყანაში არ არის ეკონომიკური კრიზისი. ცუდი მდგომარეობაა, მაგრამ კრიზისი არ არის.

კრიზისი არის სამართლებრივი და პოლიტიკური. კვირიკაშვილის მოცილება უნდოდა ბიძინა ივანიშვილს და ეძებდა მოტივს, რატომაც გაუშვებდა. როგორც ჩანს, კვირიკაშვილმა ძალიან ბევრის უფლება მისცა თავის თავს. ეს მის ფინანსურ ინტერესებს ეხება და სწორედ ამიტომ მოაცილა იმ ადგილს, სადაც იყო. მისი გახარიათი შეცვლა აღარ მოინდომა და შეცვალა ადამიანით, რომელიც ისეთივეა, როგორიც მარგველაშვილი პრეზიდენტის რანგში.

***– უფუნქციო?***

– აბსოლუტურად უფუნქციო. ზოგადად ივანიშვილს უსახური პიროვნებების შერჩევა უყვარს.

***– ამით რის თქმა გინდათ, რომ კვირიკაშვილი დამოუკიდებელ ფიგურად ჩამოყალიბდა?***

– დიახ. თავიდან ძალიან უსახური იყო, მართლაც არაფერს წარმოადგენდა. მერე რატომღაც კბილების ჩვენება და შეცდომების დაშვება დაიწყო, მოინდომა დამოუკიდებელი თამაში და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ! ივანიშვილი კი თავის თამაშს თამაშობს. მას უნდა ისეთი ადამიანები, რომლებიც ადვილად სამართავები არიან, არ წარმოადგენენ არაფერს და არ წარმოადგენენ ინტერესს სამოქალაქო საზოგადოებისა და მოსახლეობისთვის. რამდენ ხანს გაგრძელდება ეს სიტუაცია, მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, ბატონი ბიძინა რამდენ ფულს დახარჯავს!

***– მოუწევს დიდი ფულის დახარჯვა?***

– მისი გადასაწყვეტია, რამდენად უღირს. სამინისტროები მცირდება. თუმცა გამოდიან დეპუტატები და ამბობენ, რომ არც ერთი ადამიანის სახლში გაშვება არ იგეგმება.

***– თუ არავინ გაუშვეს, მაშინ ოპტიმიზაციაში რა იგულისხმება, თუკი ხარჯი იგივე იქნება? 3-4 მინისტრით ნაკლები გვეყოლება?***

– ვერ ვხედავ ვერანაირ შინაარსს ამ ყველაფერში. შეიძლება მინისტრიც არ გაუშვან, უბრალოდ, მას დეპარტამენტის ხელმძღვანელი დაარქვან და ამით დამთავრდება ყველაფერი.

***– ანუ კოსმეტიკურ ცვლილებებთან გვაქვს საქმე?***

– არც კოსმეტიკურია. ამას სისულელე ჰქვია! სინამდვილეში ჩვენ გვყავს უზომოდ, უაზროდ გაბერილი სახელმწიფო აპარატის შტატი, ძალიან ბევრი ჩინოვნიკი და ვიცით, რისთვისაც გვყავს.

***– რისთვის?***

– მხოლოდ და მხოლოდ იმ დროისთვის, როდესაც ტარდება არჩევნები. არჩევნების დროს ეს ადამიანები მორჩილად მიდიან და ყრიან თავიანთ ხმებს ურნაში. აი, ეს არის სულ მთელი მათი მოვალეობა. მათ გარშემო კიდევ ხომ არის ხალხი. მათი ოჯახები, ნათესაობა, ისინიც ხელისუფლების ამომრჩევლები არიან.

***– ამ წინასაარჩევნოდ მათ არავინ აწყენინებს?***

– სავარაუდოდ – არა. სახლში რომ გაუშვან, ხმებს დაკარგავენ. სერიოზული ადმინისტრაციული რესურსია. ცხადია, ამას არ გააკეთებენ, მაგრამ რამდენ ხანს შეიძლება გაძლოს სახელმწიფომ?! იფიტება სახელმწიფო. მისი ბიუჯეტი სრულიად უაზროდ იხარჯება უშინაარსოდ გაბერილი სახელმწიფო მანქანის საკვებად. მთელი ეს სახელისუფლებო სისტემა შექმნილია მხოლოდ არჩევნებისთვის.

***– გამოითქმის ეჭვი, რომ „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი თავად ბიძინა ივანიშვილი იქნება. რას ფიქრობთ თქვენ?***

– ჩვენ დიდი ხანია, ამაზე ვსაუბრობთ, თქვენთან ინტერვიუშიც არაერთხელ მითქვამს, რომ ერთადერთი გზა ამ არაფორმალური მმართველობის დამთავრებისა, რაღაცნაირად შენიღბვისა, არის ივანიშვილის პრეზიდენტობა. ის პრემიერი არავითარ შემთხვევაში არ გახდებოდა.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ აქ პასუხისმგებლობა ძალიან დიდია. პრეზიდენტს კი არანაირი უფლება-მოვალეობები არ აქვს, არც დიდი პასუხისმგებლობა დაეკისრება და რატომაც არა?! ექნება პირველი პირის როლი და, ამავდროულად, არაფერს გააკეთებს, კულისებიდან გააგრძელებს ქვეყნის მართვას. ამ ყველაფერთან ერთად, მისი ერთ-ერთი სურვილიც სრულდება.

***– რომელი სურვილი?***

– ის ვერ იტანს ავლაბრის რეზიდენციას, სავარაუდოდ, გადავა თავის ოფისში და იქ მიიღებს სტუმრებს, ხოლო პრეზიდენტის სასახლეს ან გაყიდის, ან ახალ დანიშნულებას მისცემს. მოკლედ, პირადად მე ძალიან დიდი მოლოდინი მაქვს, რომ ის იქნება პრეზიდენტობის კანდიდატი. თუ ასე მოხდა, მას მოუწევს ძალიან დიდი სამუშაოს ჩატარება.

***– რა კუთხით?***

– ახლა მე წავილელაკაკულიებ და გეტყვით, რომ ოპოზიციას, დიდი ალბათობით, გვეყოლება ერთიანი კანდიდატი და ივანიშვილს მასთან დაპირისპირება ძალიან გაუჭირდება.

***– რომ არ გამოვიდეს?***

– თუ ეს არ მოხდა, მაშინ ოპოზიციური სპექტრი მთლიანად უნდა გაქრეს, რადგან აღარაფრად ღირს. თუ ოპოზიცია მოიკრებს ძალებს, მოახერხებს გაერთიანებას და წარმოვადგენთ ერთიან კანდიდატს, ეს იქნება ძალიან სერიოზული ჯახი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. ჩემი მოლოდინი ასეთია, რომ ერთიანი კანდიდატი უნდა იყოს.

# „ოზურგეთს პატრონი აღარ ჰყავს“

## საია და ნაციონალები დეპუტატზე თავდამსხმელების დასჯას ითხოვენ

შორენა მარსაგიშვილი

ოზურგეთში სიტუაცია ისევ დაძაბულია – ნაციონალური მოძრაობა იმ პირების დასჯას ითხოვს, რომლებმაც მათ თანაპარტიელ ბესო ქათამაძეს სასტიკად სცემეს. დამნაშავეების დასჯის მოთხოვნით ყოფილი ხელისუფლების წევრებმა ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარის მისაღებში შიმშილობა დაიწყეს.

მათმა მარტვილობამ არანაირი შედეგი არ გამოიღო. ოზურგეთელი ნაციონალები ჩივიან, რომ ლამისაა, თავგატეხილი ბესო ქათამაძე დაიჭირონ.

– ხალხის მიერ არჩეული დეპუტატი საკრებულოში დაიბარეს, თავში რკინა ჩაარტყეს, დაგეგმეს ორგანიზებული დანაშაული და იმის ნაცვლად, რომ ის დეპუტატები დაესაჯათ, ვინც ამ დანაშაულში მიიღო მონაწილეობა, საქმე ისე წაიყვანეს, რომ ლამის ბესო ქათამაძე დაიჭირეს.

ეს არის უპასუხისმგებლო ხელისუფლების უპასუხისმგებლო გადაწყვეტილება. სწორედ ამიტომ, ჩვენ ვალდებულები ვართ ვიბრძოლოთ ბოლომდე, რომ არ დავუთმოთ არაფერი იმ ადამიანებს, ვინც მხოლოდ ფულის მშოვნელების ფუნქცია აქვთ. ვითხოვდით, რომ დაენიშნათ რიგგარეშე სხდომა, ნაცვლად ამისა, მათ ჩამოიხსნეს ნიღბები, მთელს საქართველოს დაანახეს, რომ ისინი არიან ბიძინა ივანიშვილის მსახურები, რომლებიც გადართულები არიან მხოლოდ ფულის შოვნაზე. ამიტომ, ხალხი ეუბნება ივანიშვილის ხელისუფლებას არას! ყველაზე დიდი მავნებლობის ავტორი უნდა დაისაჯოს პირველ რიგში ამ ქვეყანაში, – განაცხადა ოზურგეთელი ნაციონალების ლიდერმა დავით მჟავანაძემ „გურიის მოამბესთან“ საუბარში.

მოშიმშილეების მხარდასაჭერად 22 ივნისს ოზურგეთის საკრებულოსთან აქციაც გაიმართა. მოძალადე მეოცნებეების დასაგმობად ნაციონალები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან ჩავიდნენ.

ხელისუფლებამ მათ დასახვედრად სათანადო ზომები მიიღო – ოზურგეთში სპეცრაზმი იყო მობილიზებული.

თავგატეხილი დეპუტატი ქათამაძე აღ-



შფოთებულია იმის გამო, რომ ხელისუფლება დანაშაულზე რეაგირებას არ ახდენს. მისი თქმით, უცნაურია ისიც, რომ საკრებულომ სხდომაც კი არ დანიშნა, სადაც დეპუტატების მიერ მოწყობილი სისხლიანი გარჩევა იქნებოდა განხილული.

– რეალურად გამოდის, რომ ჩვენი შიმშილობა მათთვის საერთოდ არაფერს არ ნიშნავდა. რიგგარეშე სხდომაც ვერ დანიშნეს. ოზურგეთს არ ჰყავს პატრონი, გუბერნატორს არ სცალია, საკრებულოს თავმჯდომარე იძახის, ზღვაზე ვარ წასულიო – პატრონი არ ჰყავს ოზურგეთს.

გადაწყვეტილებებს ვერ იღებენ ვერაფერს. ეს ბრძოლა ასე არ დასრულდება და გაგრძელდება მთელი საქართველოს მასშტაბით. აი, ასეთი სამარცხვინო დეპუტატები ჰყავს „ოცნებას“, რომლებიც მხოლოდ საკუთარ სკამებს არიან ჩაჭიდებულები და არ აინტერესებთ სხვა არაფერი, – აღნიშნა ქათამაძემ.

შექმნილი ვითარებით დავით მჟავანაძე მართალია აღშფოთებულია, მაგრამ მიაჩნია, რომ მათმა შიმშილობამ შედეგი მაინც გამოიღო. შედეგი კი ასეთია:

– ჩვენ ამ ხუთდღიანი შიმშილობით მივაღწიეთ იმას, რომ ამ ხელისუფლებას ჩამოვხსენით ნიღაბი. ვაჩვენეთ საზოგადოებას, რომ მათ არ შეუძლიათ ის გააკეთონ, რაც კანონით ევალებათ. რიგგარეშე სხდომაც ვერ მოიწვიეს. არც ერთი ჩვენი მოთხოვნა არ არის შესრულებული. დაინახა ყველამ თუ რა სამარცხვინო ძალა მართავს ხელისუფლებას. არც ერთი დამნაშავე და ცემის ფაქტში მონაწილე პირი დასჯილი არ არის.

დავით მჟავანაძის თქმით, ასეთი ხელისუფლება რაც შეიძლება მალე უნდა დასრულდეს.

ოზურგეთელი ნაციონალების მხარდასაჭერად თბილისიდან საგანგებოდ ჩავიდა ლევან ხაბეიშვილი. მან გურულებს პირობა მისცა, რომ ქვეყანას მოძალადეებს არ დაუთმობენ:

– ჩვენ ამ მოძალადე ქურდებს არ დავუთმობთ ქვეყანას. ესენი არიან ბიძინა ივანიშვილის დავალების შემსრულებლები და ივანიშვილს არასდროს არაფერი არ უმართავს კრიმინალის გარეშე.

აქ რა ხდება? დეპუტატს ჯერ სცემეს, მერე პროვოკაციის მოწყობას სთავაზობდნენ, იმათ გაცემინებთ, ვინც გცემაო. ახლა ამდენი პოლიციელი ჩაგვიყენეს წინ, ვითომ ჩვენ ვიყოთ კრიმინალები. ამ პოლიციელებსაც მინდა მივმართო – არაფერი არ ესაქმება „ოცნებასთან“ იმათ, ვისაც ქვეყანა უყვარს, – აღნიშნა ხაბეიშვილმა.

„ოცნების“ ძალადობა აფრასიძეების წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაციის შემოქმედმა გია ბარამიძემაც დაგმო.

მან პოლიტიკურ მრევლს შეახსენა თუ როგორ ატყუებდა „ოცნება“ ხალხს 2012 წლის არჩევნების წინ.

მისივე თქმით, უმსგავსოდ იქცეოდა ივანიშვილი იმ დროს, როცა ზაზა სარალიძე ქუჩაში შვილის მკვლელების დასჯას ითხოვდა.

– ტყუილზე გადაიარა მათმა არჩევნებმა. თითქოს სანდრა ორგანოებით ვაჭრობდა, თითქოს ჩვენ კაცის მკვლელები ვიყავით, რომ ბენზინის ფულებით ვმდიდრდებოდით, რომ ელექტროენერგიის გადასახადებით ვმდიდრდებოდით. ახლა ხომ ხედავთ, რაც ხდება? რას აკეთებენ ეს გაქსუებულები? საკუთარი სიმდიდრის მეტი რამე აინტერესებთ? იმის ნაცვლად, რომ ელექტროენერგიის გადასახადები შეემცირებინა, ბიტკოინების ქარხნები ააშენა და თქვენს ხარჯზე მდიდრდება. გადათხარა მთელი გურია და აჭარა. მთელი მსოფლიო გაოგნებულია ამის შემხედვარე. ზაზა სარალიძე ქუჩაში გამოსული შვილის მკვლელების დასჯას ითხოვდა და ის ხეებს თხრიდა, – აღნიშნა ბარამიძემ.

* * *

ოზურგეთულ ვენდეტას საიაც გამოეხმაუ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# სოსო ცინცაძე: „თეა წულუკიანი ივანიშვილმა ოპოზიციონერით უნდა შეცვალოს“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***— ბატონო სოსო, დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ ახლა „ქართული ოცნების“ ამოცანაა დიდი დანაკარგებისა და მღელვარების გარეშე ქვეყნის 2020 წლამდე მიყვანა. შემდეგ მათ უნდა გაიაზრონ, რომ ხელისუფლება სხვას გადააბარონ. რამდენად შეიძლება, მოვლენები სწორედ ასე განვითარდეს?***

— ჩვენში ასე იტყვიან: მანამ არაფერი გეტკინოსო. ასე ვეტყოდი უსუფაშვილს. ხუმრობა იქით იყოს, რაც შეეხება შექმნილი ვითარების სერიოზულ ანალიზს, რასაკვირველია, „ქართული ოცნება“ ფილანტროპებით არ არის დაკომპლექტებული, თუმცა, არც პოლიტიკური ცხოველები არიან. სწორედ რომ „ქართულ ოცნებაში“ არც ერთი პოლიტიკოსი არ არის.

როგორც ჩანს, თავად უსუფაშვილმაც 4 წელი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში პოლიტიკოსისთვის აუცილებელი თვისებები დაკარგა. ეს ჩემთვის სამწუხარო რეალობაა, რადგან პოლიტიკური რეალიზმის რელსებს არის აცდენილი. „ქართული ოცნება“ არც 2020 წელს, არც 2024 წელს არ გეგმავს ხელისუფლების გადაბარებას. პირიქით, მას სურს, დიდი ხნით შეინარჩუნოს ძალაუფლება.

„ქართული ოცნება“ ვერ ამტკიცებს, რომ მას შეუძლია, ქვეყანა კეთილდღეობისკენ წაიყვანოს. განვლილმა 6 წელმა დაგვანახა, რომ ამ ხელისუფლებამ მხოლოდ ერთ სეგმენტში მიაღწია წინსვლას და ეს არის ადამიანის თავისუფლება, მაგრამ ეს ხელისუფლების შენარჩუნებისთვის საკმარისი არ არის.

***— რამდენად შეიძლება, 2020 წელს კოალიციური მთავრობის აუცილებლობა დადგეს, საპარლამენტო არჩევნებმა ასეთი შედეგები დადოს?***

— დღეს არსებული კრიზისიდან გამოსვლის ერთ-ერთი საუკეთესო გამოსავალი კოალიციური მთავრობა იქნებოდა. ივანიშვილს რომ უნდოდეს კოალიციური მთავრობა, დღეს ამისთვის შესანიშნავი მომენტია.

— რიგგარეშე არჩევნების დანიშვნას გულისხმობთ?

— არა, ყოველგვარი ვადამდელი არჩევნების გარეშე შეიძლება, ამ გარდამავალი მთავრობის შემდეგ ივანიშვილმა მიიწვიოს ახალ მთავრობაში ის, ვისაც, მისი აზრით, შეუძლია, საქმე გააკეთოს, რომელიმე ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი. შეიძლება, ოპოზიციის წარმომადგენელიც არ იყოს და იყოს პროფესიონალი. დღეს საქართველოს სწორედ ასეთი ხალხი სჭირდება.

ეს არ არის ჩემი მოგონილი. ეს არის მსოფლიო გამოცდილება, ევროპული გამოცდილება. როდესაც არის კრიზისი, როდესაც რაღაც ისე ვერ არის, მაშინ ოპოზიცია ერთვება და პასუხისმგებლობას ინაწილებს ხელისუფლებასთან ერთად.

ხომ გვითხრეს, რომ ეკონომიკური მდგომარეობა გახდა სამთავრობო ცვლილებების, პრემიერის გადადგომის კატალიზატორი. ახლა საინტერესოა, ვინ მოდის, ეკონომიკური ბლოკს ვინ იბარებს ისეთი, რომ რამდენიმე წლის შემდეგ არ გვითხრან, თურმე ისე არ მიდის საქმე, როგორც საჭიროაო.



ვერ გეტყვით, ვინ უნდა მოაგვაროს ეს პრობლემა. ვერც ერთ პროფესიონალს ვერ ვხედავ „ოცნების“ გუნდში, ეკონომიკურ ბლოკში, ვისაც ამ პრობლემის გადაჭრა შეუძლია. შეიძლება, ოპოზიცია არ მოიწვიო, მაგრამ ნეიტრალური მაღალკვალიფიციური პროფესიონალები ხომ არიან!

სასაცილოა, როდესაც გეუბნებიან, მინისტრი გადადგა, მაგრამ მას მისი მოადგილე შეცვლისო. ეს არც ერთ დემოკრატიულ სახელმწიფოში არ ხდება. თუ მინისტრი არ ვარგოდა და საქმის კეთება ვერ შეძლო, მისი მოადგილე რას შეძლებს?!

***— ხომ გვქონდა კოალიციური მთავრობა.***

— ის იყო საარჩევნო კოალიცია. აქ საუბარია კლასიკური ტიპის კოალიციაზე. ტიპური კოალიციური მთავრობა შეიძლება იყოს ის ბარიერი, რომელიც ბიძინა ივანიშვილსა და „ქართული ოცნების“ წევრებს შორის გადაულახავია. მე სულაც არ გამოვრიცხავ, რომ ივანიშვილი ამაზე წავიდეს, მაგრამ თავისი გუნდი აუჯანყდეს.

***— რასაც ივანიშვილი იტყვის, იმას ხომ ყველა ემორჩილება, თუ ასე არ არის?***

— ახლა ის დროა, როდესაც ივანიშვილის ყველა სიტყვა უკვე აღარ არის გამჭრელი. უკვე ივანიშვილის ყველა სიტყვა აღარ არის შეუფასებელი. ეს იყო მაშინ, როდესაც ეს ხალხი მოიყვანა, რომელთაც არასოდეს დაესიზმრებოდათ ძალაუფლებაში, ხელისუფლების სათავეებთან ყოფნა.

„ოცნების“ ისტებლიშმენტი, მინუს ივანიშვილი, ის ხალხია, რომლებიც ხელისუფლებას არავის გაუყოფენ.

— რატომ?

— მათ პანიკური შიში აქვთ, რომ ნებისმიერი პროფესიონალი მათზე უკეთესი გამოჩნდება.

ახლა მთავარი ინტრიგა ის არის, თუ ვინ იქნება მთავარი პროკურორი და იუსტიციის მინისტრი. თავის დროზე იტალიის პრემიერმა შინაგან საქმეთა სამინისტრო დათმო. ეს იყო ჭკვიანური გადაწყვეტილება, პოლიტიკურად სწორი ნაბიჯი. ჭკვიანური ნაბიჯი იქნება ივანიშვილის მხრიდან, თუ წულუკიანს დათმობს და მაღალი დონის პროფესიონალს, ოპოზიციონერს ჩააბარებს მთლიანად იუსტიციის სამინისტროს, მართლმსაჯულების რეფორმას და თუ ის თავს ვერ გაართმევს, მაშინ ივანიშვილს ხელში ექნება გაუჭრელი კოზირი, რომ მთელი არასამთავრობო სექტორი, მთელი ოპოზიცია გააკრიტიკოს და ასევე, რაც მთავარია, მთელი საზოგადოება მიიმხროს.

მე ვერ გეტყვით, გადადგამს თუ არა ამ ნაბიჯს ივანიშვილი, მაგრამ, თუ ამაზე წავა, ეს მას წინ დახვდება, როგორც სერიოზული ნაბიჯი.

# გურამ ვახტანგაშვილი: „მამისონის უღელტეხილი რუსებმა დატოვონ“

გულიკო ბალაძე



**ინტერვიუ პარლამენტის ყოფილ წევრ გურამ ვახტანგაშვილთან**

***— ბატონო გურამ, ამბობენ, „მადა ჭამაში მოდისო“. როგორც ჩანს, ცხინვალელ ოსებს მადა გაუძლიერდათ და ახლახან განაცხადეს, რომ ე.წ. საზღვრის დემარკაციას იწყებენ. ამისათვის ისინი გამოიყენებენ გასული საუკუნის 20-იანი თუ 30-იანი წლების რუკებს. მათ გადაწყვეტილებას თქვენ როგორ აფასებთ?***

— მართალია, ოსებს მადა გაუძლიერდათ. ეგენი სარგებლობენ 1935 წლის საბჭოთა კავშირის რუკით, სადაც ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული საზღვრებია დატანილი საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში.

ეს იგივეა, რაც არის, ვთქვათ, გორსა და კასპს შორის ადმინისტრაციული საზღვარი. ისეთი ადმინისტრაციული საზღვარი იყო გორის, ხაშურის, ქარელისა და კასპის რაიონსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს შორის, როგორც იყო ადმინისტრაციული საზღვარი, ვთქვათ, გურიასა და აჭარას შორის, ან აფხაზეთსა და სამეგრელოს შორის.

ახლა ოსები ამბობენ, თავიდან ძველი ადმინისტრაციული საზღვარი უნდა აღვადგინოთო და იყენებენ იმ რუკას, რა რუკაც იყო კომუნისტების დროს საქართველოს რესპუბლიკის შიდა ადმინისტრაციული საზღვრებისთვის.

***— ცხადია, ოსებს უნდათ, ჩვენი სახელმწიფო საზღვარი აქეთ გადმოიტანონ.***

— სახელმწიფო საზღვარი როკის გვირაბის იქითაა. როდესაც ოლქის „ავტოგზის“ უფროსად ვმუშაობდი, 1986 წელში როკის გვირაბი რომ გაიხსნა, როკის გვირაბის ჩრდილო პორტალის 145-150 მეტრის იქით, ორჯერ დავაყენე დიდი საგზაო ნიშანი აქედან ეწერა რსფსრ, რუსეთის მხრიდან რომ მოდიოდი, ეწერა „საქართველოს რესპუბლიკა“. იქ არის ჩვენი სახელმწიფო საზღვარი. ცხინვალში ოსები შიდა ადმინისტრაციულ საზღვრების რუკის მიხედვით აკეთებენ მავთულხლართებს.

***— ოლქის გაუქმებამდე შიდა საზღვრები რომ იყო, იმის აღდგენა ხდება თუ სხვა რუკებზეა საუბარი?***

— ფაქტობრივად, იმის აღდგენა ხდება. მოგეხსენებათ, 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისა და გასაბჭოების შემდეგ, კომუნისტებმა ოსებს ოლქი უკანონოდ შეუქმნეს. მაშინ ოსები ცხინვალში არ ცხოვრობდნენ. ცხინვალში თანაბარი რაოდენობის ქართველი, ებრაელი, სომეხი ცხოვრობდა. ოსები ძალიან მცირე რაოდენობის იყვნენ. ოსები ძირითადად ჯავის რაიონში ცხოვრობდნენ. ჯავაში დღესაც 2000 კაცზე მეტი არ ცხოვრობს.

მაშინ ოლქს რომ უქმნიდნენ, ქართული სოფლები, როგორიც არის ერედვი, თამარაშენი, დიდი და პატარა ლიახვის ხეობები შეუერთეს, იქით ქარელის რაიონის სოფლებიც შეუერთეს და დიდი გამოსვლები და პროტესტი იყო. ამის დოკუმენტები არქივში არის. რევოლუციაში რაღაც დამსახურებისთვის ოსებს ოლქი შეუქმნეს. ეუბნებოდნენ, ცენტრი ჯავა იყოსო.

არსებობს ისტორიული დოკუმენტები, ოლქი უნდა ყოფილიყო ჯავის ბაზაზე, მაგრამ შემდეგ ცხინვალი ოლქის დედაქალაქად მისცეს და სხვა რაიონების ძირძველი ქართული სოფლებიც მიუერთეს. ჩვენთან მე-8, მე-9, მე-10 საუკუნის ძეგლებია. სოფელი თამარაშენი ისტორიული სოფელია. თამარ მეფე რაჭაში რომ მიდიოდა, ამ სოფელში დაისვენა და ამიტომ დაერქვა თამარაშენი და ძირძველი ქართული სოფელია, მაგრამ კომუნისტების მიერ შედგენილი რუკით ხელმძღვანელობენ.

***— სააკაშვილმა პარლამენტის დადგენილებით (მგონი, თქვენც მიეცით იმ დადგენილებას ხმა) ე.წ. სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაცია რომ აღადგინა...***

— ავტონომიური რესპუბლიკა აღუდგინა.

***— იმ დადგენილებაში რაც განუსაზღვრა, იმით ხომ არ სარგებლობენ?***

— სააკაშვილმა დროებითი ადმინისტრაციის შესახებ დადგენილებით, მათ ტერიტორია განუსაზღვრა იმის მიხედვით, 1990 წლამდე რა ადმინისტრაციულ ერთეულებსაც ფლობდა ოლქი.

***— აღნიშნულ დადგენილებაში ხომ არ იყო ჩაწერილი, რომ ამ დადგენილებით უქმდებოდა ის, რაც საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო 1990 წელს?***

— მაშინ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ ოლქი კი არ გააუქმა, არამედ ცნო მათ მიერ ოლქის გაუქმება, მაგრამ გააუქმა მათ მიერ უკანონოდ შექმნილი რესპუბლიკა. დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმში მე ცხინვალში ვმონაწილეობდი (მაშინ იქ ვცხოვრობდი) და ვიცი, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთში ამომრჩევლების 97%-მა საქართველოს დამოუკიდებლობას მისცა ხმა.

ოსებმა მიიღეს მონაწილეობა როგორც უზენაესი საბჭოს არჩევნებში, ასევე — რეფერენდუმში. თუმცა, შემდეგ სეპარატისტებმა თვითონ გააუქმეს ოლქი და ძველ ადმინისტრაციულ საზღვრებში საქართველოს ტერიტორიაზე რესპუბლიკა შექმნეს. საა-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# „ოზურგეთს პატრონი აღარ ჰყავს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

რა. ახალგაზრდა იურისტებს მიაჩნიათ, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ბესო ქათამაძის, ფიზიკური შეურაცხყოფა, შესაძლოა, წარმოადგენდეს ადამიანის დევნას სიტყვის, აზრის გამოხატვის გამო.

საია მიიჩნევს, რომ მომხდარზე სისხლის სამართლის საქმის წარმოება, სავარაუდოდ, ხარვეზებით მიმდინარეობს:

— სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს ერთი პირის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ბესო ქათამაძეს ფიზიკური შეურაცხყოფა დიდი ალბათობით, რამდენიმე პირმა მიაყენა;

გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით, მიუხედავად იმისა, რომ ბესო ქათამაძის მიმართ განხორციელებული ქმედება დიდი ალბათობით, შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას. კერძოდ, - ძალადობით, ან ძალადობის მუქარით ადამიანის დევნას სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით.

მივმართავთ საგამოძიებო ორგანოს, მსგავსი ფაქტების პრევენციის მიზნით, გამოძიება აწარმოოს მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადაში, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, სისხლის სამართლის საქმის შესაბამისი კვალიფიკაციით, — აღნიშნულია საიას განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ დაზარალებული ბესო ქათამაძის ინტერესებს საია იცავს.

# რომან კაკულია: „ბიზნესის განვითარების 10-ბალიანი სისტემით ჩვენ მთავრობას 7-ს დავუწერდი“



— ბიზნესის განვითარების მიმართულებით 10-ბალიანი სისტემით ჩვენ მთავრობას 7-ს დავუწერდი, — ამის შესახებ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ რომან კაკულიამ „რადიო კომერსანტთან“ განაცხადა.

კაკულია მიიჩნევს, რომ ქვეყანაში ბიზნესგარემო მნიშვნელოვანია, თუმცა სასამართლო დავები კვლავ გამოწვევად რჩება.

— სასამართლო დავების მიმართულებით 5 ქულასაც ვერ დავწერთ. ბიზნესგარემოს ფორმირების კუთხით ჩვენ ცუდად არ გვიმოძრავია, თუმცა სასამართლო სისუსტეები და გარკვეული კორუფციის თემები გამოკვეთილი იყო, — აღნიშნა კომიტეტის თავმჯდომარემ.

რომან კაკულიამ საზოგადოების იმ ფენებზეც ისაუბრა, ვისაც ბიზნესი ჯერ არ წამოუწყია, თუმცა ამის დიდი სურვილი აქვს. მისი განცხადებით, ამ მიმართულებით ქვეყანაში შესაბამისი გარემო შექმნილი არ არის. კაკულია მიიჩნევს, რომ ეს ახალი მთავრობის გამოწვევაა.

— ვისაც ბიზნესის წამოწყება სურს და ქვეყანაში ამის შესაძლებლობა არ ეძლევა, ეს ახალი მთავრობის და ეკონომიკის სამინისტროს გამოწვევაა და არის ის სეგმენტი, რომელსაც ჩვენ ყურადღება არ მივაქციეთ. ეკონომიკის სამინისტროს და პრემიერ-მინისტრს დავუსვამ კითხვას, გვექნება თუ არა დოკუმენტი, რომელიც საქართველოში რეგიონალური განვითარების და ბაზრის პრიორიტეტებს გაითვალისწინებს.

ჯანსაღი ბიზნესგარემო იმიტომ გვჭირდება, რომ ახალი ბიზნესების წამოწყება მოხდეს. ვისაც უკვე აქვს დიდი, საშუალო და მცირე ბიზნესები, ისინი წინ გარკვეულ ნაბიჯებს დგამენ, თუმცა განსხვავებული სურათია იმ ადამიანებისთვის, ვინც ბიზნესის წამოწყებას ცდილობს, — განმარტა კაკულიამ.

# თამარ ჩხეიძე: „რუსეთი საქართველოს ხელისუფლებით კმაყოფილია“

## „აქციებს რუსთაველზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა“

მარიამ მჭედლიშვილი



**აქტუალურ საკითხებზე „ახალი თაობა“ ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატ თამარ ჩხეიძეს ესაუბრა.**

***— რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი ზახაროვა აცხადებს, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში პროგრესია. ეს ხდება იმ ფონზე, როცა გრძელდება ინციდენტები ოკუპირებულ რეგიონების მიმდებარედ, ჟენევის მოლაპარაკებების ბოლო რაუნდი კი საკმაოდ დაძაბული გამოდგა.***

— რუსეთის საგარეო საქმეთა წარმომადგენლის ეს განცხადება არ უკავშირდება ამ დღეების მოვლენებს. ის ზოგადად გამოხატავს იმას, რაც 2012 წლის შემდგომ ხდება. ფაქტია, რომ საქართველოს ხელისუფლება არ ეწინააღმდეგება რუსეთს და ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას. ამ განცხადებით გამოიხატა, რომ რუსეთი კმაყოფილია საქართველოს ხელისუფლებით.

სინამდვილეში, ჩვენთვის საიმედო და დადებითი არაფერი ხდება — საოკუპაციო ხაზიდან გრძელდება ადამიანების გატაცება და საოკუპაციო ხაზის გადმოწევა. არანაირ პროგრესზე საუბარი არ შეიძლება. მოსკოვისთვის, ბუნებრივია, სიტუაცია კარგია — საქართველოს ხელისუფლება ისევ პასიურია და არ უქმნის დაბრკოლებებს რუსეთს, არ აწუხებს საერთაშორისო დონეზე. საქართველოს პრობლემები, თუ სადმე გაიჟღერებს, დასავლეთის ინიციატივით. რუსეთის აგრესიულ და დანაშაულებრივ მოქმედებებს საქართველოს წინააღმდეგ იხილავს ჰააგის საერთაშორისო სასამართლო. სამწუხაროდ, აქაც არსებობს საფრთხე.

***— რა საფრთხე?***

— იმის საფრთხე, რომ ჩვენი წარმომადგენლები არაოფიციალურად ჰააგაში რუსეთის სასარგებლოდ იმოქმედებენ. საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას ადრე არაერთხელ განუცხადებია, რომ 2008 წლის ომი საქართველომ დაიწყო. ბევრი ამ საკითხზე მიჩუმდა, ზოგი აგრძელებს ამის მტკიცებას. როცა ხელისუფლება ამას ამბობს, ის სანდო არ არის არც ჰააგაში და არც სხვაგან.

***— არსებობს მოსაზრება, რომ ამ ეტაპზე საქართველოს საგარეო იმიჯისა და სტაბილურობისათვის არასწორი იყო პრემიერის გადადგომა.***

— არ მაქვს ზუსტი ინფორმაცია იმაზე, მუშაობს თუ არა დასავლეთი თანამდებობის კონკრეტულ პირებთან, რათა ისინი ივანიშვილისგან დამოუკიდებელი გახდნენ. შესაძლოა, გადამდგარ პრემიერს დასავლეთთან გარკვეული ურთიერთობები ჩამოუყალიბდა. ძირითადად, საქართველოში ყველაფერს ივანიშვილი წყვეტს. პრემიერები მის დროს დამოუკიდებლობას ვერ იჩენენ. ვერც ბახტაძე იქნება დამოუკიდებელი. ისიც ივანიშვილის მითითებებს შეასრულებს.

***— ცოტა ხნის წინ დედაქალაქის ცენტრში საპროტესტო აქციები იყო. დღეს ბევრი ახსენებს შემოდგომას, რომელიც ძვრებს მოიტანს.***

— აქციებმა თავიდან სახალხო-საყოველთაო სახე მიიღო, რაც მისასალმებელია. ეს ორი ადამიანის — მაჩალიკაშვილისა და სარალიძის დამსახურებაა. მოგვიანებით მუხტი მინელდა. ამაზე გავლენა მოახდინა სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფს შორის შეუთანხმებლობამ. ბოლოს აქციების სახალხო ხასიათიც გაფერმკრთალდა. მიუხედავად ყველაფრისა, ამ პროცესებს, აქციებს რუსთაველზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.



***— ამის შედეგად მთავარი პროკურორი მაშინვე გადადგა.***

— მთავარი პროკურორიც გადადგა და სხვა ძვრებიც მოხდა. ამ აქციებმა შეანჯღრია და შეარყია ხელისუფლება. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს პრეცედენტისთვის.

***— ხელისუფლებას განუკითხაობისა შეეშინდება?***

— ხელისუფლებას ეცოდინება, რომ დაუსჯელობა არ გამოვა. ხალხს, სახალხო პროტესტს დიდი ძალა აქვს. რაც შეეხება შემოდგომას, აქციები გამორიცხული არ არის. საზოგადოებაში უკმაყოფილებაა.

***— მმართველი პარტიის ავტორიტეტი რომ შერყეულია, ამას „ოცნების“ მხარდამჭერი ექსპერტებიც ადასტურებენ. ცოტა ხნის წინ ისინი ამტკიცებდნენ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ ნებისმიერი კანდიდატი გაიმარჯვებდა. ახლა ისინი ამბობენ, რომ „ოცნებას“ მოუწევს ღირსეული კანდიდატურის დასახელება.***

— საპრეზიდენტო არჩევნებამდე დიდი დროა. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რა პროცესები განვითარდება მანამდე და რა ვითარება შეიქმნება იმ დროისთვის. გარანტირებული არავის არაფერი აქვს, თუმცა, არც მმართველი კანდიდატის დამარცხებაა შეუძლებელი. შეიქმნა სიტუაცია, როცა არჩევნებში „ოცნების“ წარმომადგენლის დამარცხება არც გარანტირებულია და არც — შეუძლებელი.

# გურამ ვახტანგაშვილი: „მამისონის უღელტეხილი რუსებმა დატოვონ“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

კაშვილმა რომ აღუდგინა, სანაკოევის ე.წ. მთავრობა რომ შექმნა, იმ საზღვრებში.

***— სანაკოევის დროებითი ადმინისტრაციის შექმნის შესახებ დადგენილებაში ხომ არ იყო ჩაწერილი, რომ უზენაესი საბჭოს დადგენილების ანულირება ხდებოდა, რომლითაც ოლქის გაუქმება ცნეს?***

— ვიცი, რომ უზენაესი საბჭოს დადგენილების გაუქმების შესახებ სააკაშვილის დროს მიღებულ დადგენილებაში არაფერი ეწერა, მაგრამ ე.წ. სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაცია რომ შექმნეს, ე.ი. ახლიდან აღდგა და ჩაიწერა ძველი, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრები.

როგორც ასეთი, გამსახურდიას მთავრობის, უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება გაუქმდესო, არ ჩაწერილა. ფაქტობრივად, იურიდიულად ჩვენ სწორი ვართ, ოსებმა ოლქი გაუქმებულად გამოაცხადეს და რესპუბლიკა შექმნეს. ახლა ოსებსა და ქართველებს შორის დიალოგი რომ გაიმართოს, ჩვენ იურიდიულადაც მართლები ვართ, ზვიად გამსახურდიას მთავრობამ გააუქმა ოსების მიერ არასწორად შექმნილი რესპუბლიკა.

***— ახლა მათ ე.წ. საზღვრის დემარკაცია უნდათ, მაგრამ სააკაშვილის დადგენილებამაც ხომ არასწორად განსაზღვრა, როდესაც ოლქის გაუქმების შემდეგ შეცვლილ ვითარებაში, საქართველოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები შეიყვანა იმ ახლად შექმნილი ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში?***

— დიახ, იმ ტერიტორიებს მთელი ოცი წლის მანძილზე იცავდნენ ქართველები თავისი სისხლის ფასად. ახლა მათ კომისია შექმნეს და ე.წ. დემარკაცია უნდათ. ჩვენმა ხელისუფლებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ითანამშრომლოს მათთან საზღვრის დადგენასთან დაკავშირებით. თუ საზღვრის დადგენაზე იქნება საუბარი, მაშინ ადმინისტრაციული საზღვარი უნდა დაერქვას.

ჩვენი ხელისუფლება იმ შემთხვევაში შეიძლება დათანხმდეს თანამშრომლობას, თუ ოლქია, თუ რესპუბლიკა იქნება საქართველოს შემადგენლობაში და განისაზღვრება, როგორც ადმინისტრაციული საზღვარი.

ოსურმა მხარემ, რაც გინდა დაარქვას, გინდ ჯარი დააყენოს და გინდ მავთულხლართები გააბას, ისტორიულად ჩვენ მართლები ვართ და ხვალ იქნება თუ ზეგ, დრო მოვა, ჩვენი საზღვრები აღდგება.

საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთთან უნდა იდავოს მამისონის უღელტეხილზე გადმოწეული საზღვრების გამო, სადაც ყველაზე რთული ვითარებაა. ჟენევის მოლაპარაკებასა და კარასინ-აბაშიძის შეხვედრების დროს რუსეთის წარმომადგენლებთან დასვას საკითხი, რაზეც წინა ხელისუფლება ხმას არ იღებდა. არც ამ ხელისუფლებას დაუსვამს ეს საკითხი.

საგანელიძე ონის დეპუტატი იყო და ოპოზიციამ აუტეხა წინა ხელისუფლებას, რუსებმა რომ გადმოწიეს საზღვარი ონის მიმართულებით და მამისონის უღელტეხილი თითქმის ჩაიგდეს ხელში, რუსები აკონტროლებენ. ხომ შეიძლება საქართველოს ხელისუფლებამ დაუსვას საკითხი რუსებს, რომ რუსეთ-საქართველოს საზღვარი მამისონის უღელტეხილზე გავასწოროთ და დემარკაცია მოვახდინოთ. აქაც ოსები ხომ არ არიან.

თუ გახსოვთ, დიდი ამბები რომ იყო, ხელისუფლებამ ყველაზე იოლი გზა რომ გამონახა — ჩვენი ხიდი რომ ააფეთქა, რუსები აქეთ არ წამოვიდნენო. რუსები ვერანაირ მიზეზს ვერ მოიტანენ. მამისონის უღელტეხილიდან მოშორებით არის საზღვარი. ის საზღვარი შეიძლება აღდგეს. შოვსა და უღელტეხილს შორის მეტეოსადგური იყო, დაკვირვებას აწარმოებდნენ. იმ სადგურზე არიან გადმოსულები. რაჭის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არიან გადმოსულები. დაისვას საკითხი, რომ მამისონის უღელტეხილი დატოვონ რუსებმა, აღდგეს ის საზღვარი, სადაც იყო არა ადმინისტრაციული, არამედ სახელმწიფო საზღვარი რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის. ეს იქნება წინგადადგმული ნაბიჯი, რომ რაჭის მიმართულებით პრობლემა არ იქნება, ჩვენი მესაზღვრეები ჩადგებიან და საზღვარს გააკონტროლებენ.

***— იმის თქმა გინდათ, რომ პრობლემა რუსებთან გვაქვს და არა ოსებთან?***

— საერთოდ, ჩვენ გვაქვს პრობლემა რუსებთან. რუსეთთან შეუთანხმებლად ოსური მხარე ნაბიჯს არ დგამს. ოსები არც ერთ განცხადებას არ აკეთებენ კრემლთან შეთანხმების გარეშე. ყველაზე დიდი პრობლემა რუსეთთან გვაქვს.

რუსი მესაზღვრეები გადმოსულები არიან ძირძველ რაჭის ტერიტორიაზე და საზღვარი უნდა აღდგეს. თუ რუსეთის ხელისუფლება ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთთან დაკავშირებით აცხადებს, ქართველებმა ოსებსა და აფხაზებს დაელაპარაკეთ, ადმინისტრაციულ საზღვრისა თუ სხვა პრობლემებზეო, აქ მიზეზი არ აქვს, რუსეთ-საქართველოს საზღვარი 20-30 კილომეტრით აქეთ, შოვის სიახლოვეს რატომ გადმოწია.

***— ფაქტობრივად მარაზმია სანაკოევის ადმინისტრაციის არსებობა. მას შემდეგ, რაც ოკუპაცია მოხდა, რა დანიშნულება აქვს სანაკოევის ჯგუფის რჩენას? მეორე მხრივ, როგორც ჩანს, ოსი სეპარატისტები იყენებენ ყველა დოკუმენტს და მათ სასარგებლოდ ამუშავებენ.***

— არავითარი „სახელმწიფოებრივი“ ურთიერთობა არ არსებობდა. იყო ადმინისტრაციული დაყოფა, როგორც, ვთქვათ, გორსა და კასპს შორისაა. ოსები ვერასოდეს შეგვედავებიან, მათთან მართლები ვართ. ჩვენ შეიძლება დავთანხმდეთ მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრაციული საზღვრის გამიჯვნას. კი ბატონო, ადმინისტრაციული საზღვრები აღვადგინოთ, ყოველგვარი მავთულხლართების გარეშე, ოღონდ პოლიტიკურად მოწესრიგდეს ურთიერთობა.

წინა ხელისუფლება ე.წ. სამხრეთ ოსეთის დროებით ადმინისტრაციას რომ ქმნიდა, თავიდან წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ მაღალ ეშელონებში მითხრეს, გურამ, ხმა არ ამოიღო, ამ ადმინისტრაციას შევქმნით და ამ ადმინისტრაციაში ოსებს გადმოვიბირებთო. ფაქტობრივად, იმ პროექტმა არ გაამართლა. ახლანდელი ხელისუფლება ველარ წყვეტს გაუქმების საკითხს.

***— ოსების მხრიდან სერიოზული დათმობების გარეშე, საქართველოს ხელისუფლება არ უნდა დათანხმდეს რამენაირი საზღვრის დაფიქსირებას, გინდ ადმინისტრაციული საზღვარი იყოს.***

— საქართველოს ხელისუფლებამ რომ განაცხადოს, შიდა რაიონებს შორის ადმინისტრაციული საზღვრის გამიჯვნაზე ვარ თანახმაო, დარწმუნებული ვარ, ოსები არ დათანხმდებიან. ოსები მიაწვებიან თავის ძველ მოთხოვნას. რეალობიდან გამომდინარე, საერთაშორისო ასპარეზზეც რომ გავიმართლოთ თავი, შეიძლება ადმინისტრაციული საზღვრის დადგენა.

***— ადმინისტრაციული საზღვრის დადგენაზე საუბრობთ, მაგრამ იქ სხვა ვითარება ხომ იყო? მაშინ დევნილები მაინც უნდა დააბრუნონ და ამას სხვა პროცესები უნდა უძღოდეს წინ.***

— ახლა დიდი მოლაპარაკებები მიდის გზის გახსნაზე. გზა გაიხსნას იმ შემთხვევაში თუ დევნილებს დააბრუნებენ. ჩაიწეროს დოკუმენტებში დევნილების დაბრუნებაზე თანხმობის თაობაზე. მით უმეტეს, რომ დევნილების დაბრუნებას საკუთარ სახლ-კარში უფრო მეტი და მეტი ქვეყანა უჭერს მხარს.

# მიხეილ რამიშვილი: „კონსტანტინე იაკობაშვილი პასუხისმგებლობას მაინც ვერ ასცდება“



საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ადვოკატ მიხეილ რამიშვილის სარჩელის განხილვა გაურკვეველი ვადით გადადო.

ადვოკატი კი ვარაუდობს, რომ პროცესის გადადება მეუფე იაკობის მიმართ პასუხისმგებლობის არიდების მიზნით ხდება.

— კონსტანტინე იაკობაშვილი მაინც ვერ ასცდება იმ პასუხისმგებლობას, რაც მასზეა დაკისრებული თავის ცილისწამებისთვის. რაც არ უნდა დრო გაწელონ და რაც არ უნდა მოიგონონ ზღაპრები. ძალიან დიდი ეჭვი მეპარება, რომ ეს არის მიზანმიმართული რაღაცა საფუძვლებით ეს გაწელონ დროში რაც შეუძლიათ მაგრამ ალბათ სხვა უფრო ჯანმრთელი მოსამართლე იქნება და მოვითხოვ, რომ დაეწეროს იმას, — განაცხადა მიხეილ რამიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ მიხეილ რამიშვილი ცილისწამებისა და ღირსების შელახვის გამო მეუფე იაკობს უჩივის და მისგან კომპენსაციას ითხოვს.

# 339 აბი სუბოქსინი და 20 აბი მეტადონი — ნარკოდანაშაულისთვის 21 წლის გოგო დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სარფში ნარკოდანაშაულისთვის 21 წლის გოგო დააკავეს.

— აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1997 წელს დაბადებული ქალი სარფში დააკავეს, რომელსაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა ედება ბრალად. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 339 აბი სუბოქსინი და 20 აბი მეტადონი ამოიღეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, — აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# მთავრობის სსიპ-ებსა და ა(ა)იპ-ებში იმდენი ადამიანი არის გაფორმებული შტატგარეშედ, რა ზომისაც საქართველოს შეიარაღებული ძალებია

ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, ცენტრალური მთავრობის მიერ დაფუძნებულ სსიპ-ებსა და ა(ა)იპ-ებში 38,470 ადამიანი შტატგარეშედ არის გაფორმებული. ეს პირები იმის მიუხედავად, რომ ოფიციალურად შტატში არ არიან, ანაზღაურებას მაინც იღებენ. ამ საჯარო უწყებებში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობა 150,305-ია.



შედარებისთვის, საქართველოს შეიარაღებული ძალების ზომაც დაახლოებით 40 ათასია, ანუ გამოდის, რომ საქართველოს ბიუროკრატიულ აპარატში შტატგარეშეთა არმიაა.

მთლიანად, საქართველოს საჯარო სამსახურში 283 ათასი ადამიანია დასაქმებული. ეს ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 7.6%-ია. ერთ მოსახლეზე გაანგარიშების შემთხვევაში, ბიუროკრატიის ზომით საქართველო არაერთ ქვეყანას ასწრებს. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სტატისტიკის მიხედვით, 127-მილიონიან იაპონიაში საჯარო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 3.9 მილიონს შეადგენს. იმის მიუხედავად რომ 3.9 მილიონი მთლიანად საქართველოს მოსახლეობას აღემატება, მისი ერთ მოსახლეზე გადაანგარიშების შემთხვევაში, გამოდის, რომ იაპონიაში მოსახლეობის 3% არის საჯარო სექტორში დასაქმებული. 3.7-მილიონიან საქართველოში კი ეს რიცხვი 7.6%-ს შეადგენს.

უცხოეთისგან განსხვავებით, საქართველოში არ არსებობს კანონი, რომელიც შტატგარეშე თანამშრომლების აყვანის ხანგრძლივობას გააკონტროლებდა. მაგალითად, საფრანგეთში თანამშრომელი შტატგარეშედ შეიძლება მუშაობდეს მაქსიმუმ 18 თვის განმავლობაში, შემდეგ ის ან შტატში უნდა ჩასვან, ან გაათავისუფლონ. ისრაელში ეს ლიმიტი 9 თვეს შეადგენს, საფრანგეთში კი 3 წელს. საქართველოს შემთხვევაში კი ეს დრო განუსაზღვრელია.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საჯარო უწყებებს ეკრძალებათ ჰყავდეთ მათი საშტატო რიცხოვნობის 2%-ზე მეტი შტატგარეშე თანამშრომელი. თუმცა, კანონი აქვე აწესებს გამონაკლისს, რომ მთავრობასთან შეთანხმებით შესაძლებელია ამ ლიმიტის გადაჭარბება. IDFI-ს კვლევის მიხედვით, 2016 წლის მდგომარეობით მთავრობასთან შეთანხმებით ამ ლიმიტს 71-მა საჯარო ორგანიზაციამ გადააჭარბა.

IDFI-ს კვლევის მიხედვით, 2011 წელს განათლების სამინისტროს ცენტრალურ აპარატში მხოლოდ 7 შტატგარეშე თანამშრომელი იყო, ხოლო 2016 წელს მათი რაოდენობა 209-ს შეადგენდა. ჯანდაცვის სამინისტროში კი 2011 წელს 25 შტატგარეშე დასაქმებული იყო, 2016 წელს კი მათმა რაოდენობამ 131-ს მიაღწია. თბილისის მერიაში 2011 წელს შტატგარეშე თანამშრომელი საერთოდ არ ჰყავდათ, 2016 წელს კი ანაზღაურებას 80 შტატგარეშე მუშაკი იღებდა.

პრაქტიკულად გაორმაგებულია თბილისის მერიის ცენტრალური აპარატისა და საქალაქო სამსახურების ზომაც. 2011 წელს უწყებაში 637 ადამიანი მუშაობდა, 2016 წელს კი დასაქმებულთა რაოდენობა 1198 იყო. მერიის მსგავსად შტატგარეშე თანამშრომელი 2011 წელს არც თბილისის საკრებულოში არ ჰყავდათ, 2016 წელს კი მათი რაოდენობა 69-ს შეადგენდა. თავად საკრებულოს აპარატიც გაზრდილია, 2011 წელს ის 171-ს შეადგენდა, 2016 წელს კი შტატიანი თანამშრომლების რაოდენობა 247 იყო. „მცირე მთავრობა", ეს ის სიტყვებია, რომლებიც ახალი პრემიერ-მინიტრისგან მამუკა ბახტაძისგან ყველაზე ხშირად გვესმის. ახალი პრემიერ-მინისტრი მთავრობის შემადგენლობის სამი სამინისტროთი შემცირებასაც გეგმავს, შედეგად სამინისტროთა რაოდენობა 14-დან 11-მდე შემცირდება. ცვლილება სავარაუდოდ შეეხება კულტურის, დევნილთა და სასჯელაღსრულების სამინისტროებს.

ახალმა პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ თქვა ისიც, რომ მისი ხედვით, „მცირე მთავრობა" პირველ რიგში ქვეყნის ეკონომიკაში მთავრობის ხარჯების შემცირებას ნიშნავს, თუმცა ამავე წინადადებაში ბახტაძემ აღნიშნა, რომ სამინისტროთა შეკვეცით მიღებული ეკონომია, ანუ 100-120 მილიონი ლარი სოციალურ პროგრამებზე მიემართება. თუ სახელმწიფო მაინც დახარჯავს იმ თანხას, რასაც სამინისტროთა შეკვეცით მიიღებს, გამოვა, რომ მთავრობის მთლიანი ხარჯები უცვლელი დარჩება. 2018 წლის მდგომარეობით, ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით 29.9%-ია.

2018 წლის ბიუჯეტის მიხედვით, მთლიანობაში საჯარო მოსამსახურეთა ანაზღაურებაზე 1.4 მილიარდი ლარის დახარჯვაა დაგეგმილი, თუმცა სინამდვილეში ეს რიცხვი უფრო დიდია, რადგანაც ცენტრალურ ბიუჯეტში არაა განსაზღვრული სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების უმეტესობის შრომის ანაზღაურების მოცულობები.

მამუკა ბახტაძის მიერ წარდგენილი პროგრამის მიხედვით, მომდევნო წლების განმავლობაში მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით საჯარო მოხელეთა ხელფასები 3.9%-ზე მაღალი არ უნდა იყოს. საინტერესოა, რომ დიმიტრი ქუმსიშვილისა და გიორგი კვირიკაშვილის მიერ მიღებული 2018 წლის ბიუჯეტი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით მთავრობის ხელფასების კიდევ უფრო დაბალ ნიშნულზე – 3.3%-ზე დაწევას ითვალისწინებდა.

# როდიდან გახდება მანქანის დამუხტვა ფასიანი




ელექტრომობილებზე და, შესაბამისად, დამტენებზე მოთხოვნა ყოველთვიურად იზრდება. როგორც კომპანია E-space-ის დირექტორი სულხან გვალია „ბიზნესპრესნიუსთან" საუბრისას აცხადებს, ქვეყნის ავტოპარკს ყოველთვე 10-მდე ელექტრომობილი და 3-8 ელექტროდამტენი ემატება. ჯამში, 2018 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, უკვე 1 100 ელექტრომობილია, დამტენების რაოდენობა კი 52-ს შეადგენს.

ელექტროდამტენების ქვეყნის ფარგლებში დამონტაჟება მას შემდეგ გახდა აუცილებელი, რაც ქვეყანაში ელექტრომობილების იმპორტი გაიზარდა და, შესაბამისად, მოიმატა საქართველოში ასეთი ტიპის ავტომანქანების რაოდენობამ. ამ დროისთვის დამტენებით სარგებლობა უფასოა, 2019 წლიდან კი ფასიანი გახდება. რა ეღირება ერთი ავტომანქანის დატენვა, ჯერჯერობით უცნობია, როგორც სულხან გვალია აცხადებს, დეტალები წლის ბოლოს გახდება ცნობილი.

ამასთან, კომპანიის დირექტორი აცხადებს, ელექტრომობილებზე მზარდი მოთხოვნის გათვალისწინებით, უახლოეს მომავალში, დამტენების საერთო რაოდენობის გაორმაგება იგეგმება.

– საქართველოს მასშტაბით ჩვენს ქსელში სულ 52 დამტენია. აქედან ერთი არის სწრაფი დამტენი. თითქმის ყოველთვე ვამატებთ ხან 3-ს, ხან 8 დამტენს. ძირითადად ისეთ ადგილებს ვარჩევთ, სადაც ადამიანები ჩერდებიან, მაგალითად, სასტუმრო, კაფე, გაზგასამართი სადგურები და ა.შ.

– რაც შეეხება რეგიონებს, ელექტროდამტენები გვაქვს თბილისში, კახეთში, ქართლში, სამეგრელოში, ასევე, აჭარაში. ამათგან 60% თბილისშია დამონტაჟებული, დანარჩენი – რეგონებში. ავტობანზე ერთი სწრაფი და 3 მეორე დონის დამტენია. იგეგმება კიდევ 5 სწრაფი დამტენის დამატება, ასევე ავტობანზე. რაც შეეხება მეორე დონის დამტენებს, იმედი გვაქვს, რომ მოკლე დროში მათ რაოდენობას გავაორმაგებთ, – აცხადებს სულხან გვალია.

მისი თქმით, 2018 წლის I კვარტლის მონაცემებით, ქვეყანაში უკვე 1 100 ელექტრომობილია, მაშინ, როცა წელიწადნახევრის წინ სულ 50 იყო.

– ელექტრომობილებზე მოთხოვნა ძალიან აქტიურად იზრდება. ყოველთვე დაახლოებით, 10 ელექტრომანქანა ემატება, – აცხადებს სულხან გვალია. რაც შეეხება ელექტროდამტენების მიერ მოხმარებულ ელექტროენერგიას, E-space-ის დირექტორის თქმით, 2018 წლის I კვარტლის მონაცემებით, სულ 80 000 კილოვატი დაიხარჯა.

**იპნ**

# Wizz Air-ის ბორტზე ხელბარგის ატანა ფასიანი ხდება




კომერსანტი დაუკავშირდა Wizz Air-ის ოფიციალურ წარმომადგენლობას საქართველოში. როგორც კომპანიაში განგვიცხადეს, დღეიდან მგზავრები ბორტზე ხელბარგის განთავსებას ველარ შეძლებენ. იმ შემთხვევაში თუ მგზავრს ბარგის ატანა მოუნდება, მაშინ დამატებითი სერვისის გამოყენება მოუწევს.

– 10 კგ-მდე ხელბარგი ისევ უფასოა, უბრალოდ სიახლე არის ის, რომ ბორტზე მას ველარ აიტანთ და განთავსდება ბარგთან ერთად. მაგრამ თუ მაინც გსურთ, ხელბარგის ატანა, მაშინ მოგიწევთ ჩვენი დამატებითი სერვისის გამოყენება. ამ შემთხვევაში გვაქვს ორი სახის მომსახურება. შეგიძლიათ ონლაინ დაჯავშნა, რომლის ღირებულებაც 5 ევრო ჯდება, ხოლო თუ აეროპროტშივე გადაწყვეტთ მის გამოყენებას, მაშინ 25 ევრო უნდა გადაიხადოთ, – აცხადებენ კომპანიაში.

# უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნება შეექლებათ

– „მოქალაქეობის შესახებ" ორგანულ კანონში დაგეგმილი ცვლილებებით, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისთვის საქართველოს მოქალაქეობის აღება უნდა გამარტივდეს. გარდა ამისა, ჩვენს თანამემამულეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, უცხო ქვეყნის მოქალაქეობის აღებისას, გარკვეული წინაპირობების გათვალისწინებით, შეუნარჩუნდეთ საქართველოს მოქალაქეობა, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა რატი ბრეგაძემ განუცხადა.

ბრეგაძის თქმით, ქართულ დიასპორაში საზღვარგარეთ უკვე საკმაოდ დადებითი გამოხმაურება მოჰყვა პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის მიერ დიასპორასთან დაკავშირებით გაჟღერებულ ინიციატივებს, მათ შორის საქართველოს მოქალაქეობის მიღების გამარტივებასთან და ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებით.

– როგორც იცით, საკონსტიტუციო ცვლილებებით, რომელიც 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სრულად ამოქმედდება, კონსტიტუციაში პირველად გაჩნდა ტერმინი თანამემამულე და სახელმწიფოს ვალდებულება, იზრუნოს საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კავშირის შენარჩუნებასა და განვითარებაზე.

კიდევ ერთი ცვლილება მდგომარეობს იმაში, რომ კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნა ორმაგი მოქალაქეობის კონსტიტუციური აკრძალვა. ამ ცვლილების იმპლემენტაციის მიზნით საქართველოს პარლამენტთან მუშაობს შესაბამისი ჯგუფი, რომელმაც „მოქალაქეობის შესახებ" ორგანულ კანონში ცვლილებები უნდა მოამზადოს. შედეგად, გარკვეულწილად უნდა გამარტივდეს მოქალაქეობის აღება უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისთვის.

გარდა ამისა, ჩვენს თანამემამულეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, აიღონ უცხო სახელმწიფოს მოქალაქეობა და ამავდროულად, გარკვეული წინაპირობების გათვალისწინებით, შეუნარჩუნდეთ საქართველოს მოქალაქეობა. ეს არის დაგეგმილი ცვლილებების ძირითადი არსი, რომელიც, ბუნებრივია, პარლამენტში მსჯელობის საგანი გახდება, – განაცხადა ბრეგაძემ.




რაც შეეხება იმას, საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის შემდეგ შეუნარჩუნდებათ თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქეობა თანამემამულეებს, ბრეგაძე აცხადებს, რომ ყველა ქვეყანას თავისი რეგულაციები აქვს – ზოგი სახელმწიფო უშვებს ორი ან მეტი ქვეყნის მოქალაქეობას, ზოგისთვის ეს კატეგორიულად დაუშვებელია.

რაც შეეხება ქართული ენის სწავლებას უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისთვის, რატი ბრეგაძის თქმით, საგარეო საქმეთა სამინისტრო წელს ახორციელებს საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროექტს, რომლის ფარგლებშიც, განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით, უკვე შექმნილია სპეციალური პროგრამა საკვირაო სკოლებისთვის.

– გარდა ამისა, ჩვენ პირველად დავიწყეთ სახელმძღვანელოს მომზადება, რომელიც იქნება უნიკალური საკვირაო სკოლებისთვის.

მომზადდა სპეციალური პროგრამა საკვირაო სკოლებისთვის და ამის მიხედვით მზადდება სამდონიანი ინტეგრირებული სახელმძღვანელო, რომლის მიხედვითაც ბავშვები საკვირაო სკოლებში შეძლებენ შეისწავლონ ქართული ენა და ამასთან ერთად, ისტორია, გეოგრაფია და კულტურა. სამივე წიგნის სრული კომპლექტი მზად იქნება 20 აგვისტოსთვის, სექტემბერ-ოქტომბერში კი ჩვენ ვგეგმავთ მასწავლებლების გადამზადებას ამ სახელმძღვანელოების მიხედვით. შედეგად, ერთხელ და სამუდამოდ გადაიჭრება ის პრობლემა, რაც არსებობდა საკვირაო სკოლებთან დაკავშირებით თემატურ ნაწილში, – განაცხადა რატი ბრეგაძემ.

**იპნ**

# მომავლის ფერმერი: მამუკა ბახტაძესთან მეფრინველეობის დღგ-სგან გათავისუფლების საკითხს განაახლებს

როგორც მომავლის ფერმერის ხელმძღვანელმა რუსუდან გიგაშვილმა კომერსანტთან საუბრისას აღნიშნა, უახლოეს მომავალში სავარაუდოდ ახალ პრემიერ-მინისტრთან კომპანია მეფრინველეობის დამატებითი ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლების საკითხს კვლავ განაახლებს.



მისი თქმით, თავის დროზე აღნიშნული პრობლემა ვერ მოგვარდა და ვინაიდან, ახლა საუბარია რძისა და რძის პროდუქტების დღგს-გან გათავისუფლებაზე, მეფრინველეობასთან დაკავშირებული დაბრკოლებებიც უნდა გადაილახოს.

– კარგია, რომ მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება რძისა და რძის პროდუქტები დღგ-სგან გაათავისუფლოს, მაგრამ უცნაურია, აღნიშნული მეფრინველეობით რატომ არ დაიწყო. ეს დარგი ყველაზე დიდი პრობლემების წინაშე დგას და დღეს, ყველაზე მეტად სჭირდება მხარდაჭერა. ამიტომ, ალბათ უახლოეს მომავალში ახალ პრემიერთან ამ თემას კვლავ განვაახლებთ და იმედია შედეგები პოზიტიური იქნება, – განმარტავს გიგაშვილი.

მისივე თქმით, დღეს ადგილობრივი მეფრინველეობის წილი ბაზარზე მხოლოდ 29-30%, დანარჩენი კი იმპორტზე მოდის. შესაბამისად არაჯანსაღი კონკურენცია დარგის განვითარებას უშლის ხელს.

– წელიწადში 60 მლნ. აშშ დოლარზე მეტი ღირებულების ფრინველის ხორცი შემოდის და ადგილობრივი ფერმერებს უჭირთ კონკურენციის გაწევა. არდა ჩვენთვის ეს სფერო არის ძალიან პერსპექტიული, რადგან დასაქმდება უამრავი ადამიანი და ზოგადად განვითარდება ეს მიმართულება. ერთადერთი, რაც ამ დარგის განვითარებას უშლის ხელს, ეს დღგ-ს გადასახადია, – აღნიშნავს მომავლის ფერმერის ხელმძღვანელი.

# ფინანსთა მინისტრის პოსტს ახალი სახე დაიკავებს, რომელიც აშშ-ში საქმიანობს




საქართველოს მთავრობაში მოსალოდნელი საკადრო ცვლილებების საკითხზე გარკვეული დეტალები ხდება ცნობილი. „ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, მამუკა ბახტაძის კაბინეტში ფინანსთა მინისტრის პოსტს, სავარაუდოდ, ქართული პოლიტიკისთვის სრულიად ახალი სახე ჩაიბარებს.

როგორც სააგენტოსთვის არაოფიციალურად გახდა ცნობილი, ფინანსთა მინისტრის პოსტზე შერჩეული პირი წლებია ამერიკის შეერთებულ შტატებში საქმიანობს და საქართველოში სწორედ აღნიშნული თანამდებობის დასაკავებლად ბრუნდება. აშშ-ში მცხოვრები პირის ვინაობას, რომელსაც ბახტაძე საკუთარ კაბინეტში ფინანსთა მინისტრობას სთავაზობს, მმართველ გუნდში ამ ეტაპზე არ ასაჯაროებენ.

როგორც ცნობილია, მამუკა ბახტაძე საკუთარი გუნდის პარლამენტისთვის წარდგენას 2-3 კვირის ვადაში აპირებს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ისე როგორც მთავრობაში, სტრუქტურული ცვლილებების საკითხზე მმართველ გუნდში კონსულტაციები დღესაც გაგრძელდება.

**ინტერპრესნიუსი**

# სებ-მა სავალუტო ბაზრიდან 10 მილიონი აშშ დოლარი ამოიღო



22 ივნისს გამართულ საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო აუქციონზე სებ-მა 10.000.000 აშშ დოლარი შეისყიდა. სებ-ის ცნობით, საშუალო შეწონილმა გაცვლითმა კურსმა 2.4579 შეადგინა.

ბოლოს ეროვნულმა ბანკმა 3 აპრილს შეივსო სავალუტო რეზერვი და აუქციონზე 20 მლნ აშშ დოლარი იყიდა.

**იპნ**

# ვახტანგ გომელაური ბრაზილიის იუსტიციის მინისტრს შეხვდა



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა, ვახტანგ გომელაურმა ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრთან, ტორკუატო ჟარდიმთან შეხვედრა გამართა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან აცნობეს, შეხვედრაზე მხარეებმა ტერორიზმთან და კორუფციასთან ბრძოლის კუთხით არსებულ გამოწვევებსა და განხორციელებულ ღონისძიებებზე ისაუბრეს.

მათი ინფორმაციით, ვახტანგ გომელაურმა და ტორკუატო ჟარდიმმა ორ ქვეყანას შორის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელობას ხაზი გაუსვეს და სამომავლო გეგმები დასახეს.

შეხვედრას ესწრებოდნენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილეები ალექსანდრე ტაბატაძე და გრიგოლ ლილუაშვილი, ადმინისტრაციის უფროსი ნინო გიორგობიანი, ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი კამილა კოლარეს ბეზერა, საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის უფროსი ანდრე ვერას გუიმარაესი, საქართველოში ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სისერო მარტინს გარსია და ელჩის მოადგილე მარკუს ვინიციუს მორეირა მარინო.

# სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური სისხლის უანგარო დონაციისთვის დააჯილდოვეს



სისხლის დონორთა მსოფლიო დღესთან დაკავშირებით დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში უანგარო დონორებისა და მხარდამჭერი ორგანიზაციების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. ცერემონიაზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური სისხლის უანგარო დონაციისთვის დაჯილდოვდა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორი ამირან გამყრელიძე, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტის დირექტორი მარინა დარახველიძე და საქართველოში ვიზიტად მყოფი ევროკომისიის ექსპერტთა მისიის წარმომადგენლები.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ინიციატივით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები სამი წელია ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლს უანგაროდ გასცემენ.

# ლევან დადუნაშვილის დედა: „პროკურორების პირად ინტერესს ნამდვილად ვერ ვხედავდი, განსაკუთრებით ლევანთან მიმართებაში“

– პროკურორების პირად ინტერესს ნამდვილად ვერ ვხედავდი, განსაკუთრებით ლევანთან მიმართებაში და შემიძლია გითხრათ, რომ ძლიერი პროფესიონალები არიან, – ამის შესახებ პარლამენტის საგამოძიებო კომისიის სხდომაზე ლევან დადუნაშვილის დედამ ნათია საყვარელიძემ დეპუტატ ანრი ოხანაშვილის კითხვის პასუხად განაცხადა.

ოხანაშვილი დაინტერესდა, ხომ არ აქვს ლევან დადუნაშვილის დედას კითხვის ნიშნები პროკურატურის ქმედებებთან დაკავშირებით.

– ისინი საკმაოდ კარგი პროფესიონალები არიან, რადგან თითოეული სასამართლო პროცესი იყო ბრძოლა ადვოკატებსა და პროკურორებს შორის. ეს პირდაპირ ჩანდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მნიშვნელოვანი მოწმე იყო დასაკითხი. ეს შეიძლება ჩემი პირადი აზრია, მაგრამ ასეთი შთაბეჭდილება მქონდა, რომ პროკურორებს პიროვნულად ძალიან გათავისებული ჰქონდათ და განიცდიდნენ ამ ბავშვების საქმეს. სასამართლო პროცესებზე, როდესაც იყო მნიშვნელოვანი მოწმე, იქ ხდებოდა დიდი შეჯახება პროკურორებსა და ადვოკატებს შორის. რამდენჯერმე იყო ჩვენების ჩაგდების მცდელობა. განსაკუთრებით მახსენდება გ.ჯ. 2-ის ჩვენება, რომელიც თითქმის ჩაგდების ზღვარზე მივიდა, რადგან ბავშვი ითხოვდა ბრალდებულების გაყვანას და მოსამართლემ ეს არ დაუშვა. ეს ბავშვი ძალიან ცუდად გახდა.



პირდაპირი შევიწროება მოხდა მოწმის ფიზიკურადაც. არ ვიცი ეს მოლაპარაკება იყო, წინასწარი შეთანხმება იყო, მიღებული პრაქტიკა იყო თუ არა. ბავშვი ამბობდა, რომ ასე ვერ ვიტყვი, ვერ ვიტყვი. თან ეს იყო პირდაპირი მოწმე ლევანთან მიმართებაში. მოსამართლე იძულებული გახდა, გაიყვანეთ ეს ბავშვიო. ეს ბავშვი რომ გონზე მოვიდა, შეკითხვის გარეშე პირდაპირ თქვა, ვინ იყო ლევანთან მიმართებაში. მე მგონი, ეს ბავშვი არც ჩხუბობდა და უყურებდა, ჰყავდა დამნაშავე დანახული და თქვა: ეს იყო, უბრალოდ მაშინ გრძელი თმა ჰქონდა და ახლა შეჭრილი აქვსო. მე ეს დეტალი არ ვიცოდი. ასეთი შეჯახებები ხშირად ხდებოდა ადვოკატებსა და პროკურორებს შორის, – განაცხადა საყვარელიძემ.

მისი თქმით, რაც უფრო ბოლოსკენ მიდიოდა საქმე, ადვოკატები უფრო მეტ პროვოკაციაზე მიდიოდნენ.

– პირველად ვერ ვხვდებოდი, პროვოცირება რატომ ხდებოდა. მერე მივხვდი, როცა დადგა პროკურორების აცილების მოთხოვნა მათი მხრიდან. ძლიერები არიან და შემდეგ ეტაპზე არასასურველი პირები იყვნენ ადვოკატებისთვის. იგივე მოხდა დამოუკიდებელი ექსპერტის დაკითხვის დროსაც. პირად ინტერესს ნამდვილად ვერ ვხედავდი განსაკუთრებით ლევანთან მიმართებაში და შემიძლია გითხრათ, რომ ძლიერი პროფესიონალები არიან. ეს კარგად წარმოჩინდებოდა მათი კამათის დროს სასამართლო პროცესზე, – განაცხადა ლევან დადუნაშვილის დედამ.

* * *

– დამოუკიდებელი ექსპერტის განცხადება სასამართლოზე იყო ვარაუდი – „ვარაუდი, ვარაუდი, ჩემი ვარაუდი – ეს ისმოდა მხოლოდ, – ამის შესახებ პარლამენტის საგამოძიებო კომისიის სხდომაზე ლევან დადუნაშვილის დედამ ნათია საყვარელიძემ განაცხადა.

საყვარელიძის თქმით, მისთვის მიუღებელია ვარაუდებით საუბარი, როდესაც საქმე ორი 16 წლის ბიჭის მკვლელობას ეხება.

– როდესაც ორი თექვსმეტი წლის ბიჭის მკვლელობის საქმეზე მოდიხარ, არ შეიძლება ვარაუდის დონეზე ილაპარაკო. რაღაც კონკრეტულად უნდა თქვა.

– სასიკვდილო ჭრილობებთან დაკავშირებით კატეგორიულად გამოვრიცხავ დანას, ნაჩხვლეტ, ნაკვეთ ჭრილობას, სავარაუდოდ არის მაკრატელიო, – აი, ამან გამოიწვია ჩემი გაღიზიანება და უნდობლობა. სხვა რაღაცებსაც არ ვეთანხმები, ორგანოების განლაგებასთან დაკავშირებითაც არ დავეთანხმე. იქ თქვა, რომ ვერ ვიგებ, რატომ არის სამი ორგანო ერთი დარტყმით დაზიანებულიო. ამასაც არ დავეთანხმე. ასევე არ დავეთანხმე, როდესაც თქვა, რომ ჭრილობა არის დახურული ტიპის და იქიდან არ შეიძლებოდა სისხლი გადმოსულიყოო. გარკვეული დროის შემდეგ მოსამართლისგან წამოვიდა შეკითხვა, რომ ნაკვეთ-ნაჩხვლეტს არ მიეკუთვნება, რა ტიპის ჭრილობას მიეკუთვნება მაკრატელი და გარკვეული დუმილის შემდეგ დამოუკიდებელმა ექსპერტმა უპასუხა, რომ მიეკუთვნება ნაკვეთ-ნაჩხვლეტ ჭრილობას, – განაცხადა საყვარელიძემ.

ექსპერტ მაია ნიკოლეიშვილის მიმართ მისი და დაზარალებული ოჯახის უნდობლობის მიზეზები დადუნაშვილის ადვოკატმაც განმარტა.

– ჩემი დამოკიდებულება კიდევ უფრო არასანდო გახდა ამ ექსპერტის მიმართ, როდესაც ის ყველა ტელევიზიაში დადიოდა და თავისი დასკვნის სისწორეს ადასტურებდა. როდესაც ექსპერტმა გასცა დასკვნა და სასამართლოში მისცა ჩვენება, იქ უნდა დამთავრებულიყო მისი აქტივობა, – განაცხადა იზო მაღლაკელიძემ.

ადვოკატის თქმით, შემდეგ მაია ნიკოლეიშვილმა თავადვე დაადასტურა ბოლო პერიოდში, რომ საკითხის კვლევისას გამოიკვეთა ისეთი საკითხები, რომელიც მისივე შეფასებით, დამატებით კვლევას საჭიროებდა და მის კომპეტენციას სცდებოდა.

– შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ სასამართლო სწორად მოიქცა, რომ არ გამოიყენა მისი დასკვნა, როგორც მტკიცებულება და არ გაიზიარა, სადაც ის ამბობდა, რომ საერთოდ სასიკვდილო ჭრილობებზე არ იყო დანა გამოყენებული. ალბათ, ეს დასკვნა რომ გამოეყენებინა, ორივე ბრალდებული გამართლდებოდა, ლევან დადუნაშვილის ნაწილშიც გამამართლებელი განაჩენი დადგებოდა, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ბრალდებული ადასტურებდა, რომ ლევანის წინ იდგა და მის მიმართ გამოიყენა დანა, – განაცხადა დადუნაშვილების ოჯახის ადვოკატმა.

## მარნეულში მამაკაცის ცხედარი იპოვეს




მარნეულში, ქობულეთის ქუჩაზე გარდაცვლილი მამაკაცის ცხედარი იპოვეს. შემთხვევის ადგილზე საპატრულო პოლიცია იყო მობილიზებული.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით არის აღძრული, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. პირველადი ინფორმაციით, ცხედარს ძალადობის კვალი არ აღენიშნება.

## თბილისში „მეგატექნიკის“ მაღაზია გაქურდეს — წაღებულია მობილური ტელეფონები




თბილისში წერეთლის გამზირზე, „მეგატექნიკის“ მაღაზია გაქურდეს.

წაღებულია მობილური ტელეფონები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს აქტიური საგამოძიებო მოქმედებები. გამოძიება კი სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით აღიძრა, რაც ქურდობას გულისხმობს.

## მეტროსადგურ „ვარკეთილში“ ჭერის ჩამონგრევის საქმეზე სამ პირს ბრალი წარედგინა



თბილისში, მეტროსადგურ „ვარკეთილში“ ჭერის ჩამონგრევის საქმეზე სამ პირს ბრალი წარედგინა.

პირველი არხის ინფორმაციით, პირები, რომლებსაც ბრალი წაუყენეს, კომპანიების – „გეომეფისა“ და „ყვარელრემმშენის“ წარმომადგენლები არიან.

მეტროსადგურ „ვარკეთილში“ ჭერი მიმდინარე 30 იანვარს, დაახლოებით 10:30 საათზე ჩამოინგრა. შემთხვევის შედეგად 14 ადამიანი დაშავდა.

## შსს-მ მწერალ ზურა აბაშიძეზე თავდასხმის საქმეზე გამოძიება დაიწყო

მწერალი და ლგბტ აქტივისტი ზურაბ აბაშიძე სოციალურ ქსელში გუშინ მომხდარ ინციდენტზე წერს.

როგორც აბაშიძე აცხადებს, მას ჰომოფობიური მოტივით დაესხნენ თავს და მას შემდეგ, რაც აღნიშნული დანაშაულის შესახებ პოლიციაში განაცხადა, შესაბამისი რეაგირება ვერც სამართალდამცავებისგან მიიღო.



შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით დაიწყო, რაც ძალადობას გულისხმობს.

გარდა ამისა, გენინსპექციამ მოკვლევა დაიწყო, რათა დადგინდეს, პოლიციელებმა გადაამეტეს თუ არა უფლებამოსილებას.

## ზაზა სარალიძე: „პროკურორმა თავად წამოიყვირა, მეორე მკვლელი ალბათ მღვდლის შვილიაო“

ზაზა სარალიძის განცხადებით, საქმის პროკურორმა ერთ-ერთ შეხვედრაზე „თავად პროკურორმა დაუსახელა მეორე პირი, რომელიც მისი შვილის მკვლელობაში მონაწილეობდა“.

– ქალაქის პროკურორის მოადგილესთან ერთ-ერთ შეხვედრას საქმის პროკურორი, ზვიად ფხაკაძეც ესწრებოდა. მე იმ პერიოდში უკვე დადასტურებული მაქვს ჩემი შვილის მკვლელები. ეს ინფორმაცია მივაწოდე პროკურორებს – ერთ-ერთი მიხეილ კალანდიაა-მეთქი. ამ დროს ზვიად ფხაკაძემ იკითხა – მეორე ალბათ მღვდლის შვილი გ.მ. არისო. მე არც კი მაცადა სახელის და გვარის დასახელება, მან თავად თქვა, – განაცხადა ზაზა სარალიძემ.

## კლუბ „ბასიანში“ შსს შევიდა

„ბასიანის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის, ზვიად გელბახიანის ინფორმაციით, ღამის კლუბში შინაგან საქმეთა სამინისტრო ისევ შევიდა. ინფორმაციას ამის შესახებ სოციალურ ქსელში ავრცელებს.

„ბასიანის“ ოფისში შსს შემოვიდა, ჩხრეკენ ოფისს, მიაქვთ ყველა დეკლარაცია. როგორც ჩანს, შოუ არ დამთავრებულა“ – წერს გელბახიანი.

* * *

– 22 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა მიმართეს შპს „ბასიანის“ ადმინისტრაციას მოსამართლის 24 მაისის განჩინებით (რომლის მოქმედების ვადაა 30 დღე) და განუმარტეს, რომ ამ განჩინების საფუძველზე უნდა განხორციელებულიყო საგამოძიებო მოქმედებები საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაციის ამოღების მიზნით. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებისთვის ადმინისტრაციას წინააღმდეგობა არ გაუწევია.

ვინაიდან მოსამართლის განჩინებაში მითითებული იყო შპს „ბასიანის“ ძველი საიდენტიფიკაციო კოდი, შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ ჩაატარა საგამოძიებო მოქმედებები. ხარვეზის აღმოფხვრის შემდგომ კლუბ „ბასიანში“ განხორციელდება საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაციის ამოღება, – აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.

# ჯონ ბოლტონი მოსკოვში ჩავა



აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების დარგში ჯონ ბოლტონი მოსკოვში ჩავა. ამის თაობაზე პუტინის თანაშემწე დიმიტრი პესკოვმა განაცხადა. თეთრმა სახლმა, თავის მხრივ, ეს ინფორმაცია დაადასტურა. ბოლტონი რუსეთის დედაქალაქს მომავალ კვირაში ეწვევა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ტრამპმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ პუტინთან შეხვედრა სურს.

— შესაძლოა, ეს შეხვედრა უკვე ამ ზაფხულში შედგეს, — თქვა ტრამპმა.

ჯონ ბოლტონიც რუსეთში ტრამპისა და პუტინის შეხვედრის მომზადების მიზნით ჩადის.

— ძალიან მინდა, რომ რუსეთთან რამე შეთანხმებას მივაღწიო, — თქვა ტრამპმა.

ამერიკელი პოლიტოლოგი დიმიტრი საიმსი მიიჩნევს, რომ შეთანხმების მიღწევა როგორც ტრამპის, ასევე პუტინის ინტერესებშია. კიმ ჩენ ინთან შეთანხმებით ტრამპმა უზარმაზარი ქულები ჩაიწერა. თუ პუტინთანაც გარკვეული შეთანხმება შეძლო, ეს მისთვის უდიდესი მიღწევა იქნება.

— ტრამპს ეძლევა შანსი, რომ პრეზიდენტის პოსტზე კენჭი კვლავ იყაროს და გაიმარჯვოს, — აცხადებს საიმსი.

შეთანხმება პუტინისთვისაც სასიცოცხლოდაა აუცილებელი. რუსეთი ხანგრძლივ, მომქანცველ ომებშია ჩაბმული. სანქციებმა რუსეთის ეკონომიკას უდიდესი დარტყმა მიაყენა. ამას პოლიტიკური დანაკარგებიც ერთვის. ქვეყანა იზოლაციაშია მოქცეული; გაეროში რუსები იზოლაციაში დარჩნენ; რუსეთს შეუჩერდა ევროსაბჭოს წევრობა და ა.შ.

— შესაბამისად, შეთანხმება პუტინსაც სჭირდება, — თქვა საიმსმა.

ამავე დროს, არსებობს საკითხები, სადაც ვერც პუტინი და ვერც ტრამპი ვერ დათმობენ. უწინარეს ყოვლისა, ესაა უკრაინა. პუტინი ვერ შეურიგდება იმას, რომ უკრაინის არმიამ დონბასელი სეპარატისტები დაამარცხოს. ტრამპი კი ვერ გაწირავს უკრაინას, რადგან ამ შემთხვევაში უცილობელი იმპიჩმენტი ელის. აშშ-ის პრეზიდენტს არ ძალუძს, რუსეთს სანქციები მოუხსნას, რადგან კონგრესმა ეს უფლება ჩამოართვა. უკრაინული პრობლემაც, სავარაუდოდ, გვერდზე გადაიდება.

— სამაგიეროდ, შესაძლებელია შეთანხმება სირიასთან მიმართებით, — მიიჩნევს საიმსი.

ექსპერტის აზრით, სირიაში შესაძლებელია კომპრომისი. აშშ დათანხმდება იმას, რომ დიქტატორი ასადი ჯერჯერობით ხელისუფლებაში დარჩეს, რუსეთი კი აიძულებს ასადს, შეურიგდეს იმას, რომ რიგ რაიონებზე მისი ძალაუფლება ვერ გავრცელდება. ამავე დროს, აშშ მიაღწევს, რომ ჰესბოლას ფორმირებებმა სირია დატოვონ. ამით შვებით ამოისუნთქავენ როგორც აშშ, ასევე ისრაელიც, რომელსაც ჰესბოლა ყელში ძვალივით ეჩხირება. ამრიგად, თუნდაც დროებითი შეთანხმება შესაძლებელია და ყველა კმაყოფილი დარჩება — ამერიკელებიც, რუსებიც, ისრაელელებიც და ასადიც, რომელიც ხელისუფლებას შეინარჩუნებს.

საიმსის ამ მოსაზრებას რუსი პოლიტოლოგი სერგეი მარკოვიც ეთანხმება.

— უკრაინისა რა მოგახსენოთ, სირიასთან დაკავშირებით კი შესაძლოა შევთანხმდეთ, — თქვა მარკოვმა.

## ნემცოვის მკვლელობის გამოძიება განახლდა




რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა ოპოზიციონერი პოლიტიკოსის ბორის ნემცოვის მკვლელობის საქმის გამოძიება განაახლა.

გამომძიებლები ესტუმრნენ კოლონიას, სადაც იმყოფებიან ნემცოვის მკვლელობისთვის გასამართლებული პირები. ისინი დაკითხეს, შემდეგ კი სიცრუის დეტექტორზე გაატარეს. ზოგიერთმა მათგანმა კითხვებზე პასუხის გაცემაზე უარი განაცხადა, რის გამოც უფრო მკაცრ რეჟიმზე გადაიყვანეს.

„ეხო მოსკვის" ცნობით, გამოძიების მიზანია, გამოავლინოს ნემცოვის მკვლელობის შემკვეთნი. ჟურნალისტები თვლიან, რომ ეს რამზან კადიროვია. ვნახოთ, რას დაადგენს გამოძიება.

## ყაზახეთი საბჭოთა წარსულს ემშვიდობება



ყაზახეთში ლენინის ძეგლებს მასობრივად იღებენ. პარალელურად დასახლებულ პუნქტებს საბჭოურ სახელებს უცვლიან.

— ჩვენ უკრაინელების გზით მივდივართ, — განაცხადა პრეზიდენტმა ნაზარბაევმა.

მან აღნიშნა, რომ დასახლებულ პუნქტებს ყაზახური სახელწოდებები უნდა დაუბრუნდეს. ამას გარდა, ჯეროვანი პატივი უნდა მიაგონ ყველას, ვინც ყაზახეთის დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა.

— ჩვენი გმირები არიან არა ისინი, ვინც თავის დროზე რუს ჯარს შემოუძღვა, არამედ ისინი, ვინც ყაზახეთის დამოუკიდებლობისთვის თავი დადო, — ამბობს ნაზარბაევი.

## სომხეთში ანტიკორუფციული კამპანია დაიწყო



სომხეთში უპრეცედენტო ანტიკორუფციული კამპანია დაიწყო. უდიდესი რეზონანსი გამოიწვია თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ამჟამად კი დეპუტატის, გენერალ გრიგორიანის საქმემ. პარლამენტმა მას იმუნიტეტი ჩამოართვა. გენერალ გრიგორიანის აგარაკიდან დიდი ოდენობით ტყვიაწამალი, პროდუქტები, ასევე ჯარისკაცებისთვის განკუთვნილი ფორმა ამოიღეს.

ყოველივე ეს სომხეთის ტელევიზიამ გადასცა. მოსახლეობა გაოგნებულია.

პარალელურად მიმდინარეობს ოპერაციები სხვა მსხვილი ჩინოვნიკების წინააღმდეგ.

— კორუფციონერებს სასტიკად დავსჯით, მოპარულ ფულს კი ხალხს დავუბრუნებთ, — თქვა პაშინიანმა.

## ვანუატუს სანაპიროსთან 6,1 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა



წყნარ ოკეანეში, ვანუატუს სანაპიროსთან, 6,1 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. ამის შესახებ აშშ-ის გეოლოგიური სამსახური იუწყება.

მისი ინფორმაციით, მიწისძვრის ბიძგების ეპიცენტრი ვანუატუს დედაქალაქ პორტ-ვილადან 30 კილომეტრში მდებარეობდა. მიწისძვრის კერა 21 კილომეტრის სიღრმეზე იყო.

მსხვერპლისა და ნგრევის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*



## დანის საწინააღმდეგო ჟილეტჩაცმული ბრიტანელი დანის დარტყმამ იმსხვერპლა

დიდი ბრიტანეთის პოლიციამ ოლქში ცნობილი ყმაწვილის ჯორდან ისტონის დაღუპვის დეტალები გაასხმაურა. როგორც ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა იუწყება, მან დანა აიღო და შეეცადა დანის დარტყმის საწინააღმდეგო ჟილეტის სიმტკიცის დემონსტრირება მოეხდინა.

აღნიშნული ინციდენტი კლივლენდის საგრაფოს ქალაქ ტისაიდში 2017 წლის აგვისტოში მოხდა. ისტონმა, რომელსაც რამდენიმე დღით ადრე 22 წელი შეუსრულდა, წვეულებაზე მეგობრების გათამაშება და თვითმკვლელობის ინსცენირება მოისურვა. თუმცა დანის საწინააღმდეგო ჟილეტი, რომელიც მას ეცვა, ნამდვილი არ აღმოჩნდა და დანით ჭრილობის მიყენებისგან ვერ გადაარჩინა. ისტონი დაუყოვნებლივ იქნა საავადმყოფოში გადაყვანილი, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ველარ შეძლეს.

გამომძიებელმა კერინ უელშმა განაცხადა, რომ არ არსებობს იმის რაიმე დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ყმაწვილს საკუთარი თავისთვის დაზიანების მიყენება სურდა. გამოძიებამ მომხდარი უბედურ შემთხვევად აღიარა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა**

მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე.
მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166.**
**მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### სხვადასხვა

● დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს. ტელ: 598-43-98-57.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალი ნანა პაიჭაძე საგვარეულო მალამოთი ეფექტურად მკურნალობს: რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, კისრის, მუხლსახსრების ართროზს, დისკოზს, ნერვის ანთებას, ტერფისა და ქუსლების ტკივილს, ურთულეს დაავადებას ჰაიმორიტს. მის პაციენტთა შორის იყვნენ ცნობილი ადამიანები — აკადემიკოსი ანზორ შავგულიძე, მსახიობი ჯემალ ღაღანიძე, ტელეწამყვანი გიორგი გოგიჩაიშვილი და მრავალი სხვა. მის: თევდორე მღვდლის ქუჩა №48. ტელ: 593-00-08-26; 599-54-64-81.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი".

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი".

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი".

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება — კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი".

# საფრანგეთი მერვედფინალშია. არგენტინელები მწვრთნელის შეცვლას ითხოვენ

<u>საფრანგეთი-პერუ 1:0</u>

**ეკატერინბურგი. ცენტრალური**

1:0 მბაპე (34)

**საფრანგეთი:** ლორისი, ლუკასი, უმტიტი, ვარანი, პავარი, კანტე, პოგბა (ნ'ზონზი 89), მატუიდი, გრიზმანი (ფეკირი 80), მბაპე (დემბელე 75), ჟირუ

**პერუ:** გალესე, ადვინჩულა, რამოსი, როდრიგესი (სანტამარია 46), ტრაუკო, აკინო, იოტუნი (ფარფანი 46), კარილიო, კუევა (რუიდიასი 82), ფლორესი, გერერო.

მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე, მაროკოს ნაკრების შემდეგ, პერუს ეროვნული გუნდი ყველაზე უიღბლოა. სამხრეთამერიკელებს ფორტუნამ ზურგი ჯერ დანიასთან შეაქცია, შემდეგ არც საფრანგეთთან გაუღიმა. რიკარდო გარეკას შეგირდები არაფრით ჩამოუვარდებოდნენ მეტოქეს. ერთია, ფრანგებისგან განსხვავებით, მომენტის რეალიზება ვერ შეძლეს.

ერთადერთი გოლი 34-ე წუთზე კილიამ მბაპენ გაიტანა, ხოლო დარჩენილი დრო ანგარიშის შენარჩუნებაზე ფიქრობდა. ასეთი მიმდინარეობა ფრანგებს აწყობდათ, რადგან უკვე 6 ქულა დააგროვეს და მერვედფინალის საგზური გაინაღდეს. მართალია, დიდიე დეშამის სამწყსო ჯერ დიდად ვერ გვხიბლავს, მაგრამ თავის საქმეს აკეთებს. პერუმ კი ჩემოდანი ჩაალაგა...

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **კილიან მბაპე**

მთლიანობაში საფრანგეთის ნაკრებმა არასტაბილური მატჩი ჩაატარა, რომელშიც დადებითი მომენტები ნაკლებად იყო. თუმცა, მთავარი ტაბლოა და შედეგი, რომელიც ფრანგებმა აჩვენეს, პსჟ-ს ახალგაზრდა ფორვარდ კილიან მბაპეს ანგარიშზეა. ასევე შეიძლება ნგოლო კანტეს გამოყოფა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| 2.დანია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| 3.ავსტრალია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| 4.პერუ | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |

<u>არგენტინა-ხორვატია 0:3</u>

**ნიჟნი ნოვგოროდი.**
**ნიჟნი ნოვგოროდ სთედიუმი**

0:1 რებიჩი (53), 0:2 მოდრიჩი (80), 0:3 რაკიტიჩი (90)

**არგენტინა:** კაბალიერო, მერკადო, ოტამენდი, ტალიაფიკო, სალვიო (პავონი 56), მასკერანო, პერესი (დიბალა 68), აკუნია, მესი, აგუერო (იგუაინი 54), მესა

**ხორვატია:** შუბაშიჩი, ვრსალიკო, ლოვრენი, ვიდა, სტრინიჩი, რაკიტიჩი, ბროჟოვიჩი, რებიჩი (კრამარიჩი 57), მოდრიჩი, პერიშიჩი (კოვაჩიჩი 82), მანჯუკიჩი (ჩორლუკა 90)

შედეგი, რომელიც ამართლებს თამაშის ხარისხს. არგენტინას ბევრი მიიჩნევდა ფავორიტად და ეს გასაკვირიც არ იყო. როდესაც გუნდს ჰყავს ლეო მესი, ის ყოველთვის ფავორიტი იქნება, მაგრამ...

გამოჩნდა, რომ არგენტინის ნაკრებს არ ჰყავს მწვრთნელი, არ აქვს სათამაშო გეგმა, იდეა... დიეგო მარადონას მიერ ხორხე სამპაოლის კრიტიკა გვეწერა და ლეგენდა მართალი ყოფილა. არგენტინელთა მწვრთნელმა 11 ფეხბურთელი მოედანზე კი გაიყვანა, მაგრამ, რა უნდა გაეკეთებინათ, არ უთქვამს...

ერთია, ჯოხს მხოლოდ სამპაოლიზეც ნუ გადავტეხთ – ფეხბურთელებსაც მიუძღვით წვლილი წაგებაში...



ხორვატიის ნაკრების ფონზე არგენტინა უსუსურად მოჩანდა. ზლატკო დალიჩის შეგირდები დამუხტული გავიდნენ მოედანზე. არანორმალური პრესინგი, საიმედო დაცვა და ეფექტური შეტევა გახდა ხორვატთა წარმატების მიზეზი. ალბათ ერთადერთი მატჩი იყო მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც ერთი გუნდი ბევრად აღემატებოდა მეორეს.

და რა? არაფერი, გარდა იმისა, რომ არგენტინის ნაკრების ფეხბურთელები ქვეყნის სპორტულ ხელმძღვანელობას ნიგერიასთან გადამწყვეტი შეხვედრის წინ მთავარი მწვრთნელის, ხორხე სამპაოლის გაშვებასა და სხვის მოყვანას სთხოვენ.

ფეხბურთელები უკმაყოფილონი არიან ხორვატიასთან ნაჩვენები მატჩით და იმ სქემით, რომლითაც 0:3 წააგეს.

ინფორმაციას არგენტინის ფეხბურთის ფედერაცია ადასტურებს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **ივან რაკიტიჩი**

მთელი ხორვატია ბრწყინავდა, კონკრეტულად რომელიმე ფეხბურთელის გამოყოფა ურთულესია. და მაინც, რაკიტიჩი, რომელიც დაცვასა და შეტევას ალაგებდა და აბალანსებდა.

**ხორხე სამპაოლი:**

– ჩემი გადასაწყვეტი იყო, ვის დავაყენებდი კარში. წაგებაში ნაწილობრივ მე ვარ დამნაშავე. რატომ შევცვალე შემადგენლობა? ყოველთვის მაინტერესებდა ჩემი ფეხბურთელებისთვის საუკეთესო პოზიციის მოძებნა. ხორვატებს მაგარი გუნდი ჰყავთ და გაშვებული გოლის შემდეგ ფსიქოლოგიურად გავტყდით. ცუდი გუნდური თავდადება დაკავშირებულია ფეხბურთელებთან, რომლებიც არ გვყოფნის – მათი სუსტი თავდადება შედეგის მიღწევაში ხელს გვიშლის. ბოლომდე უნდა ვეცადოთ ჯგუფიდან გასვლას. სირცხვილზე არ ვილაპარაკებ.

**ზლატკო დალიჩი:**

– პირველივე დღიდან მჯეროდა ჩემი ფეხბურთელების. თუმცა, არ მეგონა, თუ ვადამდე გავიდოდით ფლეი ოფში. ვებრძოლეთ არგენტინას, რომელსაც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ჰყავს. იმედია, ღვთის წყალობით, ამ წარმატებით არ შემოვიფარგლებით. ბოლო დღეები სულ ტაქტიკით ვიყავით დაკავებულნი. ჯერ კიდევ სამი თვის წინ ვუთხარი ბიჭებს, რომ არგენტინასთან შეხვედრა გადამწყვეტი იქნებოდა. პირველი 30 წუთი თავს ვიცავდით, კომპაქტურად ვმოქმედებდით, კარგი დაცვითი ბლოკი გვქონდა. შესვენებაზე ფეხბურთელებს ვუთხარი, მეტი მომენტები შეექმნათ და მეტოქეზე დაწოლა გაეძლიერებინათ. ვიცოდით, რომ პრესინგით არგენტინელთა სამფეხბურთელიან დაცვას დავშლიდით. შესაძლოა, ტურნირიდან ფავორიტი გამოვაგდეთ და ახლა მუნდიალზე მეტი გულშემატკივარი გვეყოლება.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ხორვატია | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| 2.ისლანდია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 3.არგენტინა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| 4.ნიგერია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

# ბრაზილიამ ბოლო წუთზე მოიგო

<u>ბრაზილია-კოსტა რიკა 2:0</u>

**სანკტ-პეტერბურგი.**
**სანკტ-პეტერბურგ არენა**

1:0 კოუტინიო (91), 2:0 ნეიმარი (97)

**ბრაზილია:** ალისონი, ფაგნერი, ტიაგო სილვა, მირანდა, მარსელო, პაულინიო (ფირმინო 68), კაზემირო, კოუტინიო, ვილიანი (კოსტა 46), გაბრიელ ჟესუსი (ფერნანდინიო 90+3), ნეიმარი.

**კოსტა რიკა:** ნავასი, აკოსტა, გონსალესი, დუარტე, გამბოა (კალვო 75), გუზმანი (ტეჯედა 83), რუისი, ბორხესი, ოვიედო, ვენეგასი, ურენა (ბოლანოსი 54)

მატჩი, რომელშიც ერთმანეთს ბრაზილიის ნაკრები და კოსტა რიკის ეროვნული გუნდები შეხვდნენ, დაძაბული და საინტერესო გამოდგა. თამაშის ბედი მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში გადაწყდა.



პირველი ტაიმი ცენტრალური ამერიკის წარმომადგენლების უპირატესობით დაიწყო და ოსკარ რამირესის შეგირდები მომენტებსაც ქმნიდნენ. მე-12 წუთზე გოლის გატანა კოსტარიკელთა შეტევის ხაზს შეეძლო, თუმცა სამხრეთამერიკელთა დაცვამ უშეცდომოდ ითამაშა.

ბრაზილიის ნაკრებმა გამოღვიძება მე-15 წუთიდან დაიწყო. ძირითადად ნეიმარი უტევდა, რომელიც კეილორ ნავასის საჯარიმოსთან ჩასაფრებული ელოდა თავის შანსს, თუმცა მცდელობა ძირითადად ფეხბურთელის წაქცევითა და ჯარიმით სრულდებოდა.

მატჩის 25-ე წუთზე შანსი გაბრიელ ჟესუს მიეცა, რომელმაც გატანაც მოახერხა, მაგრამ შეხვედრის არბიტრმა თამაშგარე დააფიქსირა და ტაბლოზე ანგარიში უცვლელად დარჩა.

„სელესაოს" წარმომადგენლებმა უპირატესობა იგრძნეს და მომენტების შექმნა დაიწყეს, თუმცა პირველი 45 წუთი უგოლო ფრით დასრულდა.

მეორე ტაიმში ტიტეს შეგირდებმა ტემპს უმატეს და მომენტს მომენტზე ქმნიდნენ. ნავასის კართან ბრაზილიელები დომინირებდნენ და კოსტარიკელები ერთ ეპიზოდში ხარიხამაც იხსნა. პირველი ტაიმში თითქმის არ უთამაშია მადრიდის რეალის გოლკიპერს, მაგრამ შეხვედრის მეორე 45 წუთში ბევრჯერ მოუხდა გუნდის გადარჩენა.

ბრაზილიელებმა მეორე ტაიმში ბევრი მომენტის შექმნა შეძლეს, თუმცა ტაბლოზე ანგარიში არ იცვლებოდა. აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით გააქტიურდა პსჟ-ს ლიდერი, ნეიმარი, რომელიც სტუმართა კარის ხაზთან ცრუ მოძრაობების კასკადს სთავაზობდა გულშემატკივრებს.

„სელესაო" აღნიშნულ დაპირისპირებაში სრულ უპირატესობას ფლობდა. სამხრეთამერიკელებმა 600 პასის გაკეთება შეძლეს, კარში ზუსტად 10-ჯერ დაარტყეს და 9 კუთხური ჩამოაწოდეს.

77-ე წუთზე ბრაზილიელი გულშემატკივრები ნეიმარის გამომუშავებულმა პენალტმა გაახარა, თუმცა ეს სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა, რადგან ვიდეორეფერის გამოყენების შემდეგ ჰოლანდიელმა კიუპერსმა თერთმეტმეტრიანი გააუქმა.

მატჩს 6 წუთი დაემატა და ათვლის დაწყებიდან რამდენიმე წამში ფილიპე კოუტინიომ ანგარიში გახსნა. საგულისხმოა, რომ მომენტი შეცვლაზე შემოსულმა ფირმინომ შექმნა, რომელმაც საჯარიმოში კოსტარიკელ მცველს აჯობა და მაღალ ბურთს პირველი შესწვდა.

შეხვედრის მიწურულს ბრაზილიის ნაკრებმა სხვაობა ორამდე გაზარდა. დუგლას კოშტას კარგმა თამაშმა საბოლოოდ ნეიმარი მეკარესთან მარტო დატოვა. ჟუნიორ უმცროსმა თავისი გოლი მაინც გაიტანა.

ამ გამარჯვებით ბრაზილიას 4 ქულა გაუხდა და ჯგუფში პირველ ადგილზეა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **ფილიპე კოუტინიო**

კოსტა რიკის ეროვნული გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში ანგარიშის შენარჩუნებასა და ჯგუფში პირველი ერთი ქულის ჩაწერას ცდილობდა, თუმცა ფილიპე კოუტინიომ მატჩის დამატებით დროში მარტინესის ბიჭებს გეგმები ჩაუშალა. შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელად კოუტინიოს ვასახელებთ, რომელმაც ეროვნულ გუნდს მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუპოვა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# მსოფლიოს ჩემპიონატზე ფეხბურთელების ყველაზე ლამაზი მეუღლეები და მეგობარი გოგონები დაასახელს

ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ იმ ფეხბურთელების, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატში იღებენ მონაწილეობას, ყველაზე ლამაზი მეუღლეები და მეგობარი გოგონები დაასახელა და რომლებიც თავიანთ რჩეულებს უშუალოდ სტადიონებიდან ქომაგობენ.

სიაში პირველ ადგილზე რუსი ნახევარმცველის ალექსანდრ ეროხინის მეუღლე ვერონიკა აღმოჩნდა. ჟურნალისტებმა აღნიშნეს, რომ ის მატჩებზე მისი მეუღლის მონაწილეობით ყოველთვის ეროვნული დროშის ფერებში გამოწყობილი მიდის.

მეორე ადგილზე აღმოჩნდა მოდელი ალექსანდრა ივარსდოტირი, ისლანდიის ნაკრების ნახევარმცველის გილფი სიგურსონის მეგობარი გოგონა. ის 2008 წლის სილამაზის კონკურსის „მის ისლანდიის" გამარჯვებულია.

ბრაზილიელი ცენტრალური მცველის მარკოს აოას კორეას მეუღლე კეროლ კაბრინო სიაში მესამეა, ის მსოფლიოს ჩემპიონატს შვილთან, გოგონასთან ერთად ესწრება.

ბიზნესვუმენი ლარისა პერეირა ფირმინო თავის მეუღლეს „ლივერპულისა" და ბრაზილიის ნაკრების თავდამსხმელ რობერტო ფირმინოს ჩამოჰყვა.

აღნიშნულ სიაში აღმოჩნდა მაია ნილსონ ლინდელეფი – შვედი მცველის ვიქტორ ლინდელეფის მეუღლე, რომელიც ინგლისურ გრანდ „მანჩესტე იუნაიტედში" გამოდის.

კიდევ ერთი ინგლისური კლუბის „ლესტერ სიტის" და ეროვნული ნაკრების თავდამსხმელ ჯეიმი ვარდის მსოფლიოს ჩემპიონატზე მისი მშვენიერი მეუღლე რებეკა და მათი გოგონა სოფია ჩამოყვნენ.

ყველაზე ლამაზი მეუღლეების სიაში აღმოჩნდა პოლონეთის ნაკრების თავდამსხმელის დომინიკ გროსიცკის მეუღლე კამილა გროსიცკი.

სიის მიღმა არ დარჩენილა კრიშტიანუ რონალდუს მეგობარი გოგონა ჯორჯინა როდრიგესი.

კიდევ ერთ პორტუგალიელ ფეხბურთელს, ინგლისური კლუბის „საუთჰემპტონის მცველს სედრიკ სუარეშს მსოფლიოს ჩემპიონატზე თან ახლავს მისი მეგობარი გოგონა ფეიჯე ბრანდაუ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*



# 180-კილოგრამიანმა ქალმა სიკვდილის შიშით 114 კილოგრამი დაიკლო



გაუმაძღრობისგან სიკვდილის შიშმა ინგლისის ქალაქ ჩესტერ-ლე-სტრიტის მცხოვრებ დონ დოუსონს წონაში 114 კილოგრამი დააკლებინა.

ორი ბავშვის დედამ აღიარა, რომ ადრე დღეში საშუალოდ რვა ათას კალორიას მოიხმარდა და 182 კილოგრამს იწონიდა. მის ყოველდღიურ რაციონში შედიოდა მინიმუმ ორი კათხა ალკოჰოლური სასმელი, ოთხი ბუტერბროდი ბეკონით და ორი ლიტრი გაზიანი სასმელი.

ზედმეტი წონის გამო 38 წლის ბრიტანელს დიაბეტი განუვითარდა და იძულებული გახდა, ყოველდღიურად მიეღო ტკივილგამაყუჩებელი.

მან გახდომა მას შემდეგ გადაწყვიტა, როდესაც მისი 61 წლის მამა გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების მიზეზი გახდა კიბო, რომელიც, დოუსონის აზრით, სიმსუქნემ გამოიწვია. ქალს შეეშინდა, რომ მის მანიაკალურ სურვილს, მუდმივად რაიმე ეჭამა, მისი სიკვდილი შეიძლება გამოეწვია.

ქალი რამდენიმე წელი იცავდა მკაცრ დიეტას, დღე-ღამეში 1800 კალორიაზე მეტს არ იღებდა. ამჟამად მისი წონა 67 კილოგრამს შეადგენს და პლასტიკური ოპერაციის საშუალებით ზედმეტი კანი მოიშორა.

# ასტროპროგნოზი

## 23 ივნისისთვის



**ვერძი** – დღე აღსავსეა ახალი იმედებით, შეხვედრებით, მოულოდნელი სასიამოვნო ნაცნობობით. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კურო** – ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. მთლიანობაში მატერიალური თვალსაზრისით კეთილისმყოფელი დღეა. საკუთარ ტალანტს ახალი კუთხით წარმოაჩენთ, მათ შორის ორგანიზატორული ნიჭი ჭარბობს. **ტყუპები** – ნებისმიერი წამოწყება გაამართლებს. კარგი იქნება, თუ დღეს სპორტით დაკავდებით. ფული ეკონომიურად ხარჯეთ. ვენერა გმფარველობთ. **კირჩხიბი** – გაუთვალისწინებელი ხარჯები რეკომენდებული არ არის. თავს ყველაფერზე უარს ნუ ეტყვით, მაგრამ თქვენი ბიუჯეტიც გაითვალისწინეთ. **ლომი** – უსიამოვნო ამბავი გუნება-განწყობას გაგიფუჭებთ. გარშემომყოფებთან ურთიერთობა გეცვლებათ. შესაძლოა გრძელვადიანი გეგმების კორექტირებაც მოგიხდეთ. **ქალწული** – ახალი ნაცნობობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. ერიდეთ ფულის ხარჯვას. თქვენი ჯიბე ამის საშუალებას ნამდვილად არ გაძლევთ. **სასწორი** – საეჭვო ადამიანებთან კონტაქტი ცუდ შედეგს გამოიღებს. ხელგაშლილობა და არაეკონომიურობა თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება. **ღრიანკალი** – იღბლიანი დღეა. ნებისმიერი ნაბიჯი კარგად გააანალიზეთ. სპონტანურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. ერიდეთ სიახლეებს. **მშვილდოსანი** – ნებისმიერ საქმეში წარმატება გელით. სატურნის მფარველობის მეოხებით თქვენი საქმეები მშვენივრად მიდის. **თხის რქა** – დაბნეული ხართ. ნუ იაქტიურებთ. კოლეგებთან და ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობა გეძაბებათ. **მერწყული** – ნებისმიერი ფიზიკური დატვირთვა თქვენს ჯანმრთელობაზე დადებითად აისახება. დიდი ხნის უნახავ მეგობრებთან და ნათესავებთან შეხვედრა გაგახალისებთ. ფულის უანგარიშოდ ხარჯვა გეკრძალებათ. **თევზები** – გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. გეძლევათ შანსი, დაწყებული საქმეები წარმატებით დაასრულოთ. დღის მეორე ნახევარში მზად იყავით მოულოდნელი სტუმრების დასახვედრად.

## 24 ივნისისთვის

**ვერძი** – პირად ცხოვრებაში მოულოდნელი პრობლემები ჩნდება. საკუთარ თავს კრიტიკულად შეხედეთ და შეეცადეთ, ნაკლოვანებები გამოისწოროთ. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. **კურო** – დღეს დაუმთავრებელ საქმეებს მიხედეთ. ჯანმრთელობის მდგომარეობა არასახარბიელოა. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს. **ტყუპები** – ყოველგვარი კონტაქტი მინიმუმამდე დაიყვანეთ. ყველა შეხვედრა გადადეთ. მოსალოდნელია არაკეთილმოსურნე ადამიანთა ნეგატიური ზეგავლენა. **კირჩხიბი** – დღევანდელი დღე საშინაო საქმეების მოგვარებას დაუთმეთ. საღამო საკუთარ თავს მიუძღვენით, დაისვენეთ და მაქსიმალურად გაერთეთ. **ლომი** – ნუ იქნებით ეჭვიანი. ეცადეთ, თქვენი ღირსებები მთელი სისრულით წარმოაჩინოთ. პარტნიორის თავისუფლების შეზღუდვას ნურც იფიქრებთ. **ქალწული** – ერიდეთ ჩხუბსა და აყალმაყალს. ემოციები მოთოკეთ და მხოლოდ სასიამოვნო ამბებზე იფიქრეთ. დღეს ფიზიკური დატვირთვა საჭირო არ არის. **სასწორი** – წადით საყიდლებზე. ნავაჭრი იღბლიანი იქნება. შესაფერისი დღეა ნებისმიერი კომერციული საქმიანობისათვის. იყავით კეთილგონიერი და ტაქტიანი. **ღრიანკალი** – ეცადეთ, სახლში მყუდრო გარემო შექმნათ. ენერგეტიკული პოტენციალი იზრდება. ხვალინდელი დღის რწმენა გიძლიერდებათ. **მშვილდოსანი** – ცრუ დაპირებებს ნუ გასცემთ და თქვენც იოლად ნურავის მიენდობით. შესაძლოა, მოტყუებული აღმოჩნდეთ. ჯანმრთელობას მიხედეთ. **თხის რქა** – ერიდეთ მკვეთრ გამოთქმებს. გაუფრთხილდით ურთიერთობას კოლეგებთან. გარშემომყოფებს თქვენს პირად ცხოვრებაში ცხვირის ჩაყოფის უფლებას ნუ მისცემთ. **მერწყული** – ოჯახში პრობლემები იჩენს თავს, რომელთა მოსაგვარებლად კეთილგონიერება და სიბრძნეა საჭირო. საღამოს თუ განმარტოვდებით, სულიერ ძალებს მოიკრებთ. **თევზები** – სამოგზაუროდ წასასვლელად მშვენიერი დღეა. დაისვენეთ, გაერთეთ, ფიზიკური დატვირთვა რეკომენდებული არ არის.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# ამერიკელ მოზარდს მუხლუხოსთან შეხება კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა



აშშ-ში მოზარდი შემთხვევით შეეხო შხამიან მუხლუხოს და შედეგად საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში აღმოჩნდა.

ლოგან პერგოლა ფლორიდას შტატში ზეფირჰილსში მდებარე სახლის ეზოში მუშაობდა, როდესაც ის მუხის ხეზე მჯდომმა მუხლუხომ დასუსხა.

– თავდაპირველად არც ისე მტკივნეული იყო, მაგრამ შემდეგ მოულოდნელად ხელი წამერთვა და მწვავე ტკივილი ვიგრძენი, – განაცხადა მოზარდმა. მან აღიარა, რომ მწერის კბენიდან 20 წუთის შემდეგ ფეხზე დგომას ძლივს ახერხებდა.

მოზარდის დედამ შვილს ნაკბენზე ნიორი წაუსვა, მაგრამ როდესაც ამან შედეგი არ გამოიღო, საავადმყოფოში წაიყვანა.

– სახეზე ფერი დაკარგა, მხედველობას კარგავდა და ვერ გრძნობდა თუ რა ხდებოდა, – განაცხადა მოზარდის დედამ. ექიმებმა ლოგანს დაუყოვნებლივ დაუყენეს წვეთოვანი შხამის საწინააღმდეგო წამლით, თუმცა ამან შედეგი მაშინვე ვერ გამოიღო, რამდენიმე საათის განმავლობაში ყმაწვილს ტკივილებისგან აკანკალებდა. ამჟამად კი მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება, თუმცა სხეულზე დამწვრობის კვალი ჯერ ისევ ეტყობა.

# ვეფხვმა ზოოპარკის დამთვალიერებლებზე თავდასხმა სცადა



ამერიკის ლუიზიანას შტატის ქალაქ ბატონ-რუჟის ზოოპარკის დამთვალიერებლების მიერ გადაღებულ ვიდეოზე ის მომენტი მოხვდა, თუ როგორ მიეპარა ადამიანს ვეფხვი და შეეცადა მას თავს დასხმოდა.

ვიდეორგოლში ჩანს, თუ როგორ პოზირებს მამაკაცი ფოტოს გადასაღებად, რომლის დროსაც ის შუშის წინაღობასთან ზურგით დგას. ამ დროს ვეფხვი დიდი სიფრთხილით ჩადის წყალში, ადამიანს უახლოვდება და თავდასხმისთვის ემზადება.

როგორც ჩანს, მტაცებელმა ზოოპარკის დამთვალიერებლები პოტენციურ ნანადირევად ჩათვალა და გადაწყვიტა წაენადირებინა. მას შემდეგ, რაც პირველი ნახტომი წარუმატებელი გამოდგა, მტაცებელმა წინაღობის გასწვრივ გაისეირნა და სხვა პოტენციური მსხვერპლის თვალიერებას შეუდგა. შემდეგ კი კიდევ ერთი ნახტომი შეასრულა.

ვეფხვის თავდასხმის მცდელობამ დამთვალიერებლებში მხიარული რეაქცია გამოიწვია. კადრს მიღმა ყვირილის და სიცილის ხმები ისმის.

# ყმაწვილმა მაღაზიაში ნაყიდ ბოსტნეულში შავი ქვრივი აღმოაჩინა



ამერიკის ოჰაიოს შტატის მცხოვრებმა მაღაზიაში ნაყიდი ბროკოლის შეკვრაში ობობა შავი ქვრივი აღმოაჩინა.

ჯეიკობ ვონმა განაცხადა, რომ ახალი ბროკოლი ქალაქ მომის ერთ-ერთ სუპერმარკეტში იყიდა. როგორც კი ის ბოსტნეულის გარეცხვას შეუდგა, იქიდან მტაცებელი ობობა გამოძვრა. ყმაწვილმა ბოსტნეული ობობასთან ერთად ისევ შეკვრაში დააბრუნა.

მან მომხდარი ვიდეოზე გადაიღო, ხოლო ფეისბუქში დედამისმა გამოაქვეყნა. ვიდეორგოლი ცხოველთა გადარჩენის ცენტრის თანამშრომელმა შერილ გარსიამ ნახა, გააზიარა და ხელისმომწერებს ობობას, რომელსაც სახელად ბროკოლი დაარქვა, შეფარება შესთავაზა.

მომხდარის თაობაზე სუპერმარკეტის თანამშრომლებს აცნობეს, მათ ბოდიში მოიხადეს და ბოსტნეულის უფასოდ შეცვლა შესთავაზეს.

რამდენიმე დღეში ობობა ერთ-ერთმა ოჯახმა შეიფარა.

# კანადელმა მკერდის გადიდებასა და ანჯელინა ჯოლის ტუჩებზე უამრავი ფული დახარჯა



კანადელმა მოცეკვავე გოგონამ მთელი ქონება დაახარჯა მკერდის გასადიდებლად, „ანჯელინა ჯოლის ტუჩების" მისაღებად და ბრაზილიური დუნდულების დასაყენებლად.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში 24 წლის მერი მაგდალენმა სამი ოპერაცია გაიკეთა მკერდის გასადიდებლად, შეიცვალა ცხვირის ფორმა, ტუჩებში 15-ზე მეტი ბოტოქსის ინექცია გაიკეთა და დაახლოებით იმდენივე დუნდულებში. სულ გოგონამ დაახლოებით 150 ათასი კანადური დოლარი დახარჯა, ვინაიდან ის საკუთარ თავს მეტად უსახურად თვლიდა.

ის გაჩერებას არ აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ მამამისი, ყოფილი ღვთისმსახური მის ასეთ გატაცებას არ მიესალმება. გარდა ამისა, მკერდის ზომის გამო, გოგონას სუნთქვის პრობლემებიც წარმოექმნა.

– 14 წლის ასაკიდან ვიცოდი, რომ პლასტიკური ოპერაცია მჭირდებოდა, თუმცა ამდენი თუ იქნებოდა, არ მეგონა, მაგრამ ეს უკვე ჩემ ჰობიდ იქცა, ექსტრემალური სპორტით გატაცების მსგავსად, – განაცხადა მაგდალენმა.

# სახეზე პისტოლეტის სვირინგიანი ამერიკელი იარაღის შენახვისთვის დააპატიმრეს



ამერიკელი მამაკაცი, რომელსაც სახეზე პისტოლეტი აქვს ამოსვირინგებული, იარაღის არალეგალურად შენახვისთვის დააპატიმრეს.

ინციდენტი სამხრეთ კაროლინას შტატის ქალაქ გრინვილში მოხდა. მაიკლ ვაინსი ავარიაში მოყვა და იმ დროს შეეცადა დატენილი 38 კალიბრიანი პისტოლეტი თავიდან მოეშორებინა, როდესაც მას პოლიციის ოფიცერი მიუახლოვდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას იარაღის შენახვა საერთოდ აკრძალული ჰქონდა.

მას წაუყენეს ვადაგადაცილებული მართვის მოწმობით მანქანის მართვის, სიჩქარის გადაჭარბებისა და იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდება.

# ამერიკელი გიგანტური ჰოთ-დოგიდან ნასროლმა ჰოთ-დოგმა დააშავა




ბეისბოლის მატჩის დროს გიგანტური ჰოთ-დოგიდან ნასროლი ჰოთ-დოგი ამერიკელს თვალის არეში მოხვდა და ჩაულურჯა.

კეტი მაკვეი „ფილადელფია ფილის" და „სენტ-ლუის კარდინალსის" მატჩს ესწრებოდა. სათამაშო პაუზის დროს მოედანზე მასპინძლების თილისმა ჰოთ-დოგის ფორმის უზარმაზარი პლასტიკატის ზარბაზანით გამოვიდა, რომლიდანაც ცომში ჩადებულ სოსისებს ისვრიან მაყურებლებში. ერთ-ერთი ნასროლი ჰოთ-დოგი მაკვეის სახეში მოხვდა.

– ის ჩემთვის მოულოდნელად გამოვარდა და აგურივით მაგარი იყო, – განაცხადა დაშავებულმა ქალბატონმა. მან აღიარა, რომ ქაღალდში გახვეული ჰოთ-დოგის დაჭერა იმიტომ ვერ მოახერხა, რომ მხარის ტკივილი აწუხებდა და მისთვის რამდენიმე დღეში უნდა გაეკეთებინათ ოპერაცია. ინციდენტის შედეგად ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს და თავის ტვინის შერყევის გამოსარიცხად კომპიუტერული ტომოგრაფია გაუკეთეს.

მაკვეი სასამართლოში ჩივილს არ აპირებს, ვინაიდან ფილადელფიური კლუბის დიდი გულშემატკივარია. თავად კლუბის წარმომადგენლებმა ქალს ბოდიში მოუხადეს და ნებისმიერ მატჩზე, რომელზეც ის დასწრებას შესძლებს, ბილეთები შესთავაზეს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ცოცხალი ორგანიზმის რეაქცია გარეგან გაღიზიანებაზე; 2. მიქელანჯელოს ქანდაკება; 3. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 4. ფრანგული პური; 7. ჟოკეის წკეპლა; 9. ძაფზე ასხმული სამკაული; 12. პირველყოფილი ადამიანი, რომელიც გამოქვაბულში ცხოვრობდა; 14. სამკაულების დასამზადებლად გამოყენებული ფისიანი ქვანახშირის ერთ-ერთი სახეობა; 15. ცეკვის ძველი ქართული სახელწოდება; 17. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 20. ჩამქრალი ვულკანი თრიალეთის ქედზე.

**თარაზულად:** 5. უეფას პრეზიდენტი; 6. ყირიმის ძველი სახელწოდება; 8. სითხის გამოსახდელი მინის ლაბორატორიული ჭურჭელი; 10. წითელი ფერის, მშრალი ქართული სამარკო ღვინო; 11. კათოლიკე მღვდელი პოლონეთში; 13. გერმანული ლუდი; 16. მჭერმეტყველების თეორია; 18. ავსტრალიური ჩანთოსანი დათვი; 19. ავი, ანჩხლი დედაკაცი; 21. ქართული ტელეკომპანია; 22. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 23. მსხვილი ფინანსისტი, დიდი კომპანიის მფლობელი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბუნდესვერი; 2. სალაჰი; 3. მადიარი; 4. რასპე; 5. მადნეული; 6. გორდი; 7. კალმარი; 9. პასივი; 13. იჯარა; 17. სუვა; 18. ოყა.

**თარაზულად:** 1. „ბენიასა"; 3. მწყერი; 8. კამორა; 10. „სალხინო"; 11. „ჩელსი"; 12. ფერმერი; 14. „ქვევრი"; 15. ბრინჯაო; 16. ლისტი; 19. ზარაფი; 20. ვისკოზა; 21. მაჭარი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ვიბრაცია; 2. ბოლტი; 3. მანსარდა; 4. საფარა; 7. კრიჟი; 9. ჯუნტა; 12. აბასთუმანი; 14. „გელაპი"; 15. ილუმენი; 17. სალიამი; 20. სკოტი.

**თარაზულად:** 5. სიმბიოზი; 6. „იზაბელა"; 8. კეტჩერი; 10. ლაჟვარდი; 11. „სინხუა"; 13. ანალები; 16. ტალავერი; 18. თართი; 19. სუეცი; 20. სკოპიე; 22. ანეკდოტი; 23. ჰოფმანი.

# ნინი შერმადინის მოდელი გოგო საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული გახდა



პატარა მოდელი მარიამ ციცაგი მომღერალ ნინი შერმადინის გოგოა. ის სამოდელო სააგენტო „კატრინის“ მოდელია და პატარა ასაკის მიუხედავად, სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობის მიღება უკვე მოასწრო.

„პატარა მის პლანეტა 2018“ – ასე ეწოდებოდა ბულგარეთში გამართულ საერთაშორისო სილამაზის კონკურსს, სადაც საქართველოს სახელით სამოდელო სააგენტო „კატრინის“ ორი მოდელი მარიამ ციცაგი და გიორგი ხინგავა მონაწილეობდნენ.

სილამაზის კონკურსის ფინალისტებში 20 ქვეყნიდან ტალანტით მხოლოდ 3 მონაწილე გადავიდა, მათ შორის მარიამ ციცაგი და გიორგი ხინგავა.

სილამაზის საერთაშორისო კონკურსის მთავარი ჯილდო კი მარიამ ციცაგმა მოიპოვა.

# რუსთაველის თეატრში ახალი ქიმერიონი გაიხსნა




რუსთაველის თეატრის გვირაბში „ახალი ქიმერიონი“ გაიხსნა, რომელიც მუდმივად დაეთმობა თანამედროვე მუსიკალურ, ვიზუალურ და საშემსრულებლო ხელოვნებას.

„ახალი ქიმერიონის“ გახსნაში მონაწილეობდნენ გიორგი ცაგარელი, მაქსიმე და ნიკა მაჩაიძეები, ილია და გიორგი ქორქაშვილები, ანდრო დადიანი, გიორგი მელაძე, შოთა იზორია, გრაფიკის თანამედროვე ცენტრი და გრაფიკოსები ნინო ინჯია, ლეილა გრიგოლია, რუსთაველის თეატრის მსახიობები ანა ამილახვარი, თამთა ინაშვილი, ლაშა ჯუხარაშვილი.

„ახალი ქიმერიონის“ გახსნის საზეიმო ცერემონიალში ჩართული იყვნენ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტები.

# გორის ქალთა გუნდი თბილისში კონცერტს გამართავს




23 ივნისს თბილისში გორის ქალთა გუნდი კონცერტს გამართავს. საღამო 9 აპრილის პარკში, ყოფილ ალექსანდრეს ბაღში თბილისის მერიის დაკვეთით პროექტის „თბილისის ცის ქვეშ“ ფარგლებში ჩატარდება.

გორის ქალთა გუნდის სოლოკონცერტზე შესრულდება ყველა ის მუსიკალური ნომერი, რომელმაც უნიჭიერეს მომღერალ ქალბატონებს სახელი გაუთქვა.

# ერისიონი „ქართულ საგანძურს“ ათენში წარმოადგენს



ქართული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „ერისიონი“ 24 ივნისს ათენში კონცერტს გამართავს.

„ერისიონი“ ცეცხლოვან შოუს გალაცის ოლიმპიურ სტადიონზე შეკრებილ მაყურებელს წარუდგენს.

2 საათის განმავლობაში პროფესიონალურ სცენაზე „ერისიონი“ პლანეტაზე ანალოგის არმქონე ქართულ ხალხურ სიმღერასა და ცეკვას ყველა კუთხისთვის დამახასიათებელი კოსტიუმებით, ქართული ხასიათით და ბუნებით შეასრულებს.

„ერისიონის“ კონცერტები მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტზე დიდი წარმატებით იმართება. მათ არაერთი პრესტიჟული ჯილდო და პრიზი აქვს მიღებული.

# სამგლოვიარო განცხადებები

მალხაზ, მარინა, თამარ, თეა თარხნიშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ოჯახის უახლოესი მეგობრის, უკეთილშობილესი პიროვნების, კარგი მეუღლის, მამისა და ბაბუის

**ბესო სურმავას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის დიდ ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

# მსახიობები მიზერულ ხელფასებს აპროტესტებენ



მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის მსახიობმა იოსებ ხვედელიძემ სოციალურ ქსელში 95-ლარიანი ხელფასის ჩარიცხვის ფოტო გაავრცელა, რამაც მისი კოლეგების და რეჟისორების გაღიზიანება გამოიწვია.

**იოსებ ხვედელიძე:**

– თვალის ჩინი! ამას დამატებული დაზღვევის 105 ლარი! რაც არ გკლავს, გაძლიერებს! სირცხვილია უბრალოდ! მაგრამ არა უშავს, ყველაფერი უკეთ იქნება! ბევრჯერ დამიწყია ნულიდან და ჯერ კიდევ მაქვს იმის თავი, რომ თავიდან დავიწყო! კაი გამოსაფხიზლებელია და მეც, შესაბამისად, გამოვფხიზლდი! ღამე მშვიდად თუ რამე არ მაძინებს, ბარტყებზე ფიქრია. მაგრამ სხვასაც ჰყავს შვილები და სხვაც ასე ნერვიულობს ალბათ. ყველაფერს ეშველება!

**ანრი ბიბინეიშვილი-ჯაყელი, მსახიობი:**

– წლების განმავლობაში 376 ლარს ვაპროტესდებდი! ახლა 460 ლარს ვაპროტესტებ, იმიტომ კი არა, რომ ვინმეზე მეტი ვარ, ან ვიმსახურებ, იმიტომ, რომ არ შეიძლება ასეთი ხელფასი ჰქონდეს მსახიობს! მით უფრო, თუ ოჯახი გყავს სარჩენი.

ეს დაცინვაა, მაგრამ ამ კაცის მერე, რა უფლებით ამოვიღო ხმა?! სირცხვილია, სირცხვილი!

ყველაფერს თავი დავანებოთ, მას ორი მცირეწლოვანი შვილი ჰყავს! სოსო! არ ვიცი რა გითხრა!

**სოფო მეძმარიაშვილი, მსახიობი:**

– დაგვცინიან?! ისედაც მათხოვრული ხელფასები გვაქვს მსახიობებს!

**ქეთი დოლიძე, რეჟისორი:**

– ისე, ქალბატონი თამრიკო ჭოხონელიძის საყურადღებოდ! ძირ ხელფასს ემატებოდა ყოველ ახალ სპექტაკლზე 120 ლარი. ეს ზურა გეწაძის მოფიქრებული ძალიან კარგი სქემა იყო! ამისთვის გვებრძოდნენ თეატრის „ბოსები“! ახლა ამ ახალგაზრდა, დაკავებული მსახიობების ხარჯზე, „ბოსებს“ მოემატათ ხელფასი! ეს რაში წერია?! რაში?! ესაა ერთი წლის მომზადებული „დიადი“ რეფორმა.

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ლაშა ჩხარტიშვილმა იოსებ ხვედელიძეს მიბაძა და თავისი 68-ლარიანი ხელფასის ფოტო გამოაქვეყნა:

– ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის ერთი თვის სარგო. არ გეგონოთ, რომ ვამართლებ რითიმე, სახელფასო მინიმუმი უნდა იყოს განსაზღვრული ამ ქვეყანაში, ამ ხელფასით უნდა აცხოვრო ჩვენი მთავრობა და იქნებ მიხვდნენ.

# მაღალაანთ კოშკი ინგრევა



კავთურის ხეობაში მდებარე მაღალაანთ კოშკი სავალალო მდგომარეობაშია. კოშკის კედლებზე გაჩენილი ბზარები მოწმობს, რომ ძეგლს დანგრევა ემუქრება.

ინფორმაცია და ფოტოები ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა გაავრცელა:

– მაღალაანთ კოშკი წარმტაცი სანახავია. მშვენიერი აღნაგობით გვხიბლავს როგორც გარედან, ისე შიგნით.

კედლებში ჩატანებულია გველეშაპის გამგმირავი წმიდა გიორგის ორი რელიეფი, სხვადასხვა ფერის ქვებზე ამოჭრილი და ერთიც ლაპიდარული წარწერა.

კავთურის ხეობაში სხვა რომ არაფერი იზიდავდეს მნახველის თვალს, მარტო ამის სანახავად ღირდა მრავალი ათეული და ასეული კილომეტრის გამოვლა.

კოშკი ჯერ კიდევ გამართული დგას, მაგრამ სავალალო დღეშია. კედლებში ბზარი გაჩენილა და კოშკს დანგრევით ემუქრება.

თუ საჩქაროდ არ გამაგრდა, კედლის ბზარები კიდევ უფრო გაიზრდება და კოშკიც ჩამოინგრევა.

პირველად რომ ვნახე, 40 წლის წინათ და 10 წლის წინათაც, ეს ბზარები არ არსებობდა და რაკი გაჩნდა, ჩანს, ნგრევის პროცესიც დაწყებულა.

სამწუხაროა, რომ ამისთანა მშვენიერი ძეგლი სრულიად უყურადღებოდაა მიტოვებული. ჩვენი სიძველის ძეგლები ჩვენ თვალწინ იღუპება. ჩვენ კი დანაშაულებრივად ვდუმთ.

თანამემამულენო, ამ დროს გულგრილობა დანაშაულია...

სანამ დროა, უნდა შეკეთდეს დანგრევის პირას მისული უსიტყვოდ მეტყველი ძეგლები ჩვენი წარსულისა; მაღალაანთ კოშკი ერთი მათგანია.

კმარა, რაც გარეულმა თუ შინაურმა მტრებმა დაგვინგრიეს; ახლა მზესა და წვიმას, რაც, თავისთავად, დიდი სიკეთეა და ღმრთის წყალობა, ნუ დავანგრევინებთ შემორჩენილ სიძველეებს.

უნდა შეკეთდეს-მეთქი, ვამბობ, მაგრამ თავისთავად ვერ შეკეთდება ისინი; ვერც ერთი-ორი მოხალისის ენთუზიაზმი უშველის საქმეს. ძეგლი უნდა შეაკეთოს იმან, ვისაც ეს ევალება.

# გურამ ქართველიშვილი უცხოელებზე ქართული მიწის გასხვისების წინააღმდეგია



მწერალი გურამ ქართველიშვილი უცხოელებზე ქართული მიწის გასხვისებას აპროტესტებს და ფულის სანაცვლოდ დაუძინებელი მტრის ჩვენს მიწა-წყალზე დასახლებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება:

– დღეს ქართველები მიწას და სხვა უძრავს თურქზე, არაბზე და სპარსზე ვყიდით და მათ ვასახლებთ ამ ჩვენ ედემში. ფულის სანაცვლოთ ვუღებთ კარს ისტორიულად დაუძინებელ მტრებს და იქვე ვამაყობთ ხოლმე დავით აღმაშენებლით, ვისი ეპიტაფიაც ასე ჟღერს:

„ვინ ნაჭარმაგევს მეფენი თორმეტნი პურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა გარეთ გამესხნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს,
ამა ყოვლისა მოქმედსა გულზედან ხელნი დამესხნეს...“

ეს სრული დაკნინებაა და ღალატი.

ღალატი გარდასული და მომავალი თაობების მიმართ...

# დავით მაზანაშვილი მეცენატობის შესახებ კანონის მიღებას ითხოვს



მუსიკოსი დავით მაზანაშვილი უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ქართული კულტურის და შოუბიზნესის გადასარჩენად სახელმწიფოსგან მეცენატობის შესახებ კანონის მიღებას ითხოვს და ამ იდეის გარშემო კოლეგებს გაერთიანებას სთხოვს:

– მივმართავ საზოგადოებას, განსაკუთრებით ხელოვან ადამიანებს: ვთხოვოთ სახელმწიფოს, მიიღოს კანონი მეცენატობის შესახებ, შოუ-ბიზნესისა და კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად, რათა ბიზნესს გაუჩნდეს სურვილი, დააფინანსოს ამ კუთხით კონკრეტული პროექტები.

მერწმუნეთ, მხოლოდ ეს გზა გადაარჩენს დღეს ასე მძიმე მდგომარეობაში მყოფ შოუ-ბიზნესს და კულტურის განვითარებას.

მაქვს თქვენი თანადგომის იმედი და რომ არ დარჩეს ეს მიმართვა მხოლოდ ცარიელ სიტყვებად, გთავაზობთ, შეიქმნას საინიციატივო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს ამ წინადადების სწორად ჩამოყალიბებაზე, რომ მიეცეს კანონპროექტის სახე.

# ხელოვნების სასახლემ ევროპის კულტურული მემკვიდრეობის უმაღლესი ჯილდო მიიღო




საქართველოს ხელოვნების სასახლეს ევროპის კულტურული მემკვიდრეობის უმაღლესი ჯილდო „ევროპა ნოსტრა“ გადაეცა!

ეს უმნიშვნელოვანესი აღიარება მუზეუმმა სამეცნიერო პროექტისათვის „ქსოვილი საქართველოდან“ მიიღო. 400-გვერდიანი ნაშრომი კომპეტენტურმა ჟიურიმ ევროპის ტერიტორიაზე საუკეთესო სამეცნიერო კვლევად აღიარა!

სპეციალურად ამ ჯილდოსთვის მომზადდა ფილმი, რომელიც ხელოვნების სასახლის მიერ წარდგენილ პროექტს მიეძღვნა:

– ეს არის ფილმი, რომლითაც ევროპის კულტურული საზოგადოების არაერთი ცნობილი წარმომადგენელი პროექტს „ქსოვილი საქართველოდან“ და, აქედან გამომდინარე, მრავალსაუკუნოვან ქართულ კულტურას გაეცნო. პროექტმა გამარჯვება მოიპოვა საკმაოდ დიდ კონკურსში, როგორც საუკეთესო ევროპულმა სამეცნიერო კვლევამ! ფილმის ჩვენება და პროექტის პრეზენტაცია ბერლინში ბრანდერბურგის ჭიშკართან ალიანს ფორუმის დიდ დარბაზში გაიმართა, დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი კი კონგრესის დარბაზში მოეწყო. ვულოცავთ საქართველოს ხელოვნების სასახლეს ამ დიდ გამარჯვებასა და აღიარებას, – განაცხადა ხელოვნების სასახლის დირექტორმა გიორგი კალანდიამ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

23 ივნისისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.4579 |
| ევრო | — 2.8357 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.2267 |
| 100 რუსული რუბლი | — 3.8519 |

## ამინდის პროგნოზი 23 ივნისისთვის




## იკითხეთ ქართული დეტექტივი ზაფხულის დღეებში!

19 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის პირველი ტომი




**ალექსანდრე იასაღაშვილი**
მგლის ბილიკი
**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

22 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-2 ტომი




**ალექსანდრე იასაღაშვილი**
შავი ვარდი
**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

26 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-3 ტომი




**იორამ ჩადუნელი**
საზღაური
**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

29 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-4 ტომი




**რომან გვენცაძე**
საბედისწერო გასროლა
**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

3 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-5 ტომი




**ჯემალ ჩახავა**
ქურდები და არიფები
**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

6 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-6-7 ტომი




**ავთანდილ ბუხრაშვილი**
ვინ მოკლა ინსპექტორი
**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**

10 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-8 ტომი




**მაკა სეფაშვილი**
დანაშაული აღარ მოხდება
**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**



## იუმორი

●●●

გამოფენის დამთვალიერებელი მხატვარს ეკითხება:
– როგორი უცნაური ნახატი გაქვთ!
– რას გულისხმობთ?
– სურათს „კატა ჩექმებში“ ჰქვია.
– მერე?
– მერე ის, რომ ჩექმებს ვხედავ, კატა კი არ ჩანს.
– კატა ჩექმაშია!

●●●

ექიმი ავადმყოფს ეუბნება:
– თქვენთვის საუკეთესო გამოსავალი იქნება, თუ თავს დაანებებთ სმას, მოწევასა და ქალებში სიარულს.
– ექიმო, იქნებ რამე უარესი მირჩიოთ? საუკეთესოს ნამდვილად არ ვიმსახურებ.

●●●

კაცმა კატას ფეხსაცმელი ესროლა, ააცილა და სიდედრს მოარტყა, კმაყოფილმა კი ჩაილაპარაკა:
– ზოგჯერ იმაზე უკეთ გამოდის, ვიდრე ჩაფიქრებული გქონდა.

●●●

ცოლი ქმარს შესჩივის:
– ჩვენი შვილი, უბრალოდ, აუტანელი გახდა, ვიღაც სულელების რჩევებს უსმენს.
– მერე?
– დაელაპარაკე, ურჩიე რამე.

●●●

აფთიაქში მამაკაცი გამყიდველ გოგონას ეკითხება:
– XXXL ზომის პრეზერვატივი გაქვთ?
– ასე შორიდან რატომ კითხულობთ? შემობრძანდით, მოიზომეთ!..

●●●

ქალი მეგობარ მამაკაცს ეკითხება:
– ძვირფასო, რის შეცვლას ისურვებდი ჩვენს ურთიერთობაში?
– სასურველი იქნებოდა, უფრო ხშირად და უფასოდ.

●●●

პატრული მანქანას აჩერებს და მძღოლს მიმართავს:
– თქვენი საბუთები, სერ!
– ასე რატომ მომმართავთ „სერ“?
– იმიტომ, რომ გზის მარცხენა მხარეს მოძრაობდით!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია



მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით


## ქალს ღამით ტუალეტი საშრობ კარადაში აერია და საკუთარ შეცდომას ემსხვერპლა




ბრიტანელი ქალბატონი ღამით ტუალეტში წავიდა, მაგრამ შეცდომით საშრობ კარადაში აღმოჩნდა, რომელშიც გაიჭედა და დაიღუპა.

ინციდენტი უელსში სოფელ პენალში მოხდა. 60 წლის ქალმა, პოლიციის ყოფილმა თანამშრომელმა ელისაბედ იშერვუდმა ვილა იქირავა და იქ მარტო ისვენებდა. ღამით ქალი შიშველი გაემართა ტუალეტისკენ, მაგრამ სიბნელეში შეცდომით საშრობ კარადაში შევიდა, რომლის კარი მის ზურგს უკან ჩაიკეტა. ის შველას ითხოვდა, მაგრამ მისი ყვირილი არავის გაუგია.

იშერვუდი რამდენიმე დღე ცდილობდა ხაფანგისგან თავი დაეღწია და პატარა მილის დახმარებით კედელში ხვრელიც კი გააკეთა. თუმცა ის სწორედ ამან დაღუპა: კარადა ცივი წყლით აივსო და ქალი სხეულის გადაციებისგან დაიღუპა.

იშერვუდის ცხედარი სანტექნიკოსებმა მის დაღუპვიდან ერთ კვირაში აღმოაჩინეს. ისინი ადგილზე მილის შესაკეთებლად მივიდნენ და ნანახმა ისინი შოკში ჩააგდო.

შემთხვევის ადგილის შესწავლის შემდეგ კორონერმა აღნიშნა, რომ ქალს თავისუფლებამდე რამდენიმე სანტიმეტრი დააკლდა. მან კედელში ხვრელის ბოლომდე გაკეთება ვერ მოახერხა, ამაში ხელი კედლის მეორე მხარეს ჩამოკიდებულმა სურათმა შეუშალა.

## 105 წლის ამერიკელი საკუთარი დღეგრძელობის საიდუმლოდ წვეულებებს და ალკოჰოლს ასახელებს



საკუთარი 105 წლის იუბილეს აღნიშვნის შემდეგ ამერიკელმა ქალბატონმა საკუთარი დღეგრძელობის საიდუმლო გაამხილა, რომელიც სიცოცხლის სიყვარულში და ყოველგვარი შეზღუდვის არ არსებობაში მდგომარეობს.

ფლორიდის შტატის ქალაქ პალმ-ჰარბორის მცხოვრებმა ჰელენ გრანიემ აღიარა, რომ ასე დიდხანს ცხოვრებას არ გეგმავდა. ამას არც მისი ოჯახი მოელოდა.

– მე ვსვამდი ლუდს, ვეწეოდი და ა.შ. მთელი ღამე ვერთობოდი, ვცეკვავდი, შემდეგ კი სამუშაოდ მივდიოდი, – განაცხადა გრანიემ, რომელმაც საკუთარ კრედოდ დაასახელა ფრაზა „შენი ცხოვრებით იცხოვრე“.

ასევე ქალმა აღიარა, რომ ძალიან უყვარს აზარტული თამაშები.

– ჩემ ქმარს ლას-ვეგასში არ მივყავდი, ვინაიდან იცოდა, რომ ვგიჟდები თამაშზე, განსაკუთრებით სათამაშო ავტომატებზე. ერთი სიტყვით ვეგასში მხოლოდ მაშინ წავედი, როდესაც ჩემი მეუღლე გარდაიცვალა, – დაამატა ჰელენმა.

გრანიემ დაბადების დღე მოხუცებულთა ელიტურ სახლში ახლო მეგობრების გარემოცვაში აღნიშნა, სადაც ის უკვე ცხრა წელია ცხოვრობს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ქართველი შტანგისტი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი; 2. შენიშვნა დამატებითი განმარტება ტექსტში; 3. ადგილი, სადაც არის ბუნებრივი პირობები მკურნალობისა და დასვენებისთვის; 4. ბარიტის საბადო რაჭაში; 5. ატომური ბომბით დანგრეული ქალაქი იაპონიაში; 6. სასიგნალო და სარეკლამო ხელსაწყოების გასანათებლად გამოყენებული ქიმიური ელემენტი, აირი; 7. გეოდეზიური საველე, სახაზავი მაგიდა; 9. შტატი აშშ-ი; 13. დაბალი ხარისხის ალმასი; 17. მდინარის ქვიანი ნაპირი; 18. კედელზე საკიდი ელექტრონათურა.

**თარაზულად:** 1. გარემოში საორიენტაციო ხელსაწყო; 3. დაბა დაღესტანში, ლითონის მხატვრულად დამუშავების ცენტრი; 8. ქორწინების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 10. ძველბერძენი ფილოსოფოსი; 11. ეგვიპტის დედაქალაქი; 12. ლიხტენშტეინის მმართველთა ტიტული; 14. იაროსლავ ჰაშეკის ნაწარმოების პოპულარული პერსონაჟი; 15. სამშობიარო სახლის ძველებური სახელწოდება; 16. ესპანური სპორტული გაზეთი; 19. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 20. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 21. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## რაჯა ნაინგოლანი კარიერას ინტერში გააგრძელებს

ბელგიელი ნახევარმცველი მომავალ სეზონში მილანის ინტერის ღირსებას დაიცავს. ეს უკვე თითქმის გადაწყვეტილი ამბავია და მხოლოდ დეტალები დარჩა დასაზუსტებელი. ნაინგოლანმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ ის არ აპირებდა რომაში დარჩენას და კარიერას სხვა კლუბში გააგრძელებდა.

ინტერთან რაჯა სამწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს და მას მაღალი ანაზღაურება ექნება. ნაინგოლანი რომაში 2014 წელს



გადავიდა და მას შემდეგ წლების მანძილზე ის რომას ერთ-ერთი ლიდერი იყო და მისი დაკარგვა რომასთვის იოლი გადასატანი არ იქნება.

## დიმიტრი ობოლაძე: „მესის ნაკრები კიდია“

არგენტინამ ხორვატიასთან სამარცხვინოდ წააგო 0:3 და თითქმის დაკარგა მერვედფინალში გასვლის შანსები. ამ მატჩს ბევრი ადამიანი გამოეხმაურა და ზოგმა მესის უნიათო თამაში აღნიშნა, ზოგმა კი ყველაფერი მთავარ მწვრთნელს ხორხე სამპაოლის დააბრალა.



ცნობილმა ქართველმა სპორტულმა ჟურნალისტმა დიმიტრი ობოლაძემ განაცხადა, რომ მესი ნაკრებში ისე არ იხარჯება, როგორც ამას მარადონა აკეთებდა:

– მესის ნაკრები კიდია, ამიტომ სამპაოლის ტყუილად აბრალებენ წაგებას. მარადონას არგენტინის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**